საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკანრისობაზე უსაძაგლესია.

ხუთშაბათი, 26 აპრილი. 2017 წ. №86 (8223), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

გინდა, იყო წარმატებული? – იჩალიჩე დეპუტატობაზე ან გახდი ცესკოს წევრი!

ცეცხლოვანი აპრილი

3

1. გინდა, რომ კანონიერად არ წახვიდე ჯარში? – გაწევრიანდი „გირჩში“.
2. გინდა, რომ არაფერს აკეთებდე და კანონიერად გძონდეს ბევრი ფული მსუყე პენსიით? – შექმენი პოლიტიკური პარტია და იჩალიჩე დეპუტატობაზე ან გახდი ცესკოს წევრი!!!
3. გინდა, რომ გახდე ცნობილი მწერალი? – წერე ტუალეტში და გამოაქვეყნე სელფი.
4. გინდა, რომ გახდე წარმატებული ადამიანი, მაგრამ არაფრის ნიჭი არ გაქვს და არც რაიმეს კეთება შეგიძლია? – გახდი პედერასტი.

თავდაცვა

სტრუქტურამ 100 მლნ-ამდე ბიუჯეტით, 4 000-ამდე თანამშრომლით, აგენტურა ვერ „გაშიფრა“?

4

ჩადენილ ბოროტებას ბოდიშით ვერ გამოისყიდით, ბატონო აგრამუნტ!..

8

6

მიკრობიზნესი პენიტენციურ დაწესებულებაში

ირაკლი გოგავა:

ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია სამხარეო მოწყობაზე გადასვლა

5

„ოქრო-ვერცხლის“ ბუკეტი პირენეიდან

10

მოჭიდავეთა კიდევ ერთი გამარჯვება



საქართველოში მედიაგარემო გაუმჯობესდა

„რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ 2017 წლის „პრესის თავისუფლების მსოფლიო ინდექსს“ აქვეყნებს.

ინდექსის მიხედვით საქართველო, წინა წლის მსგავსად, 180 ქვეყანას შორის 27,76 ქულით 64-ე ადგილზეა. ანგარიშში აღნიშნულია, რომ ბოლო წლების განმავლობაში საქართველოში მედიაგარემო გაუმჯობესდა, თუმცა ორგანიზაციის განცხადებით, პრობლემებად რჩება მედიის პოლარიზება და მედიამფლობელების გავლენა სარედაქციო საქმიანობაზე. ორგანიზაციის ანგარიშში ნახსენებია „რუსთავი 2“-ის საქმე, რომლის ბედი, ავტორების აზრით, კარგი ტესტი იქნება ქვეყნის მედიაგარემოს შესაფასებლად. ამავე ანგარიშის მიხედვით, პირველ ხუთეულში მოხვდა ნორვეგია, შვედეთი, ფინეთი, დანია და ჰოლანდია. ბოლო ადგილს კი ჩრდილოეთ კორეა იკავებს.

ქართულ პოლიტიკას გერმანია იწონებს

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში გერმანიის ფედერალური კანცლერის მრჩეველთან საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ქრისტოფერ ჰოისგენთან შეხვედრა გაიმართა.

უწყების ინფორმაციით, კანცლერის მრჩეველთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველო-გერმანიას შორის წლების განმავლობაში ჩამოყალიბებულ მეგობრულ და პარტნიორულ ურთიერთობებს, რომელიც წარმატებით ვლინდება როგორც პოლიტიკურ, ასევე სხვადასხვა სფეროში თანამშრომლობით.

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა მადლობა გადაუხადა გერმანულ მხარეს საქართველოს მხარდაჭერისთვის ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე და ხაზი გაუსვა ბერლინის მხარდაჭერის გადამწყვეტ როლს ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებაში. თავის მხრივ, გერმანულმა მხარემ აღნიშნა საქართველოს მიერ გაწეული შთამბეჭდავი პროგრესი და საქართველოს მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია, რაც მას ევროპული ოჯახის ღირსეულ წევრად აქცევს. შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა განსაკუთრებული შეფასება მისცეს საქართველო-გერმანიის მეგობრობის წელს და მის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების მნიშვნელობას ორი ქვეყნის, როგორც პოლიტიკური, ასევე ხალხთაშორისი და კულტურული დაახლოების მხრივ.

ბრალდება 5 მოწმის ჩვენებას ემყარება!

ბათუმში მომხდარი არეულობის ორგანიზების ბრალდებით დაკავებული ირაკლი ჩხვირკიასთვის ორ თვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდებას მისი ადვოკატი გაასაჩივრებს.

ირაკლი ჩხვირკიასთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების ფაქტს, საპარლამენტო უმრავლესობა ეხმაურება. „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი კობა ნარჩემაშვილი ამბობს, რომ გამოძიებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებებში მას ეჭვის შეტანის საფუძველი არა აქვს.

„ეს პიროვნება მე პირადად მახსოვს აგრესიული განცხადებებით სატელევიზიო ეთერიდან. რაც შეეხება საქმის მასალებს, ვერ გეტყვით, რა არის საქმის მასალებში, მაგრამ გამოძიებამ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო და ეს გადაწყვეტილება სასამართლოს გადაწყვეტილებითაც დადასტურდა. ეს მაფიქრებინებს, რომ ამ ეტაპზე არის საკმარისი მასალები იმისათვის, რომ ეს ადამიანი იყოს წინასწარ პატიმრობაში,“ – განაცხადა კობა ნარჩემაშვილმა.

გიორგი კვირიკაშვილი რუმინეთის პრემიერ-მინისტრს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ბუქარესტში ოფიციალური ვიზიტი რუმინეთის პრემიერ-მინისტრთან შეხვედრით დაიწყო. სორინ გრინდეანუმ ქართველ კოლეგას ვიქტორიას სასახლეში უმასპინძლა.

პირისპირ გამართულ შეხვედრაზე გიორგი კვირიკაშვილმა და სორინ გრინდეანუმ მიმოიხილეს საქართველო-რუმინეთს შორის არსებული ურთიერთობები და თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები. ყურადღება გამახვილდა, როგორც ორ ქვეყანას შორის, ისე შავი ზღვის რეგიონის ფარგლებში სავაჭრო-ეკონომიკური, ენერგეტიკული და სატრანსპორტო კომუნიკაციის განვითარების მნიშვნელობაზე.

პრემიერ-მინისტრებმა განიხილეს საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესი და აღნიშნეს ამ მიმართულებით მიღწეული წარმატება. რუმინეთის პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილს მიულოცა ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეული წარმატება — საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზო მიმოსვლის რეჟიმის მინიჭება და კიდევ ერთხელ გამოთქვა რუმინეთის ურყევი მხარდაჭერა საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფების მიმართ.

მიზანი: კერძო სექტორის წახალისება და გაძლიერება!

პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შექმნიდან 10 წლის იუბილეს აღსანიშნავად გამართულ საზეიმო ღონისძიებაზე ისაუბრა კანონმდებლობაში დაგეგმილ ახალ ცვლილებებზე, რომელიც ორიენტირებულია კერძო სექტორის მაქსიმალურ წახალისებასა და გაძლიერებაზე. კერძოდ:

პირველი ვიცე-პრემიერის, ფინანსთა მინისტრის დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, დამატებული ღირებულების გადასახადისგან გათავისუფლდება საჰაერო გადაყვანა-გადაზიდვის და საავიაციო სამუშაოების მომსახურების გაწევა, ასევე, დღგ-სგან და აქციზისგან გათავისუფლდება შიდა საავიაციო რეისებისთვის განკუთვნილი საწვავის იმპორტი და მიწოდება.

— ეს მნიშვნელოვანი სტიმული იქნება იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში ტურიზმი კიდევ უფრო განვითარდეს და ხელი შეეწყოს როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო ტურიზმის განვითარებას, — განაცხადა მან.

კიდევ ერთი სიახლე — ახალი საკანონმდებლო პაკეტით, უზრუნველყოფის გარეშე საგადასახადო დავალიანების ერთწლიანი გადანაწილების შესაძლებლობა 5 000-დან 50 000 ლარამდე იზრდება.

„მინდა აღვნიშნო, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ ნებას და პოლიტიკურ გადაწყვეტილებას: 2010-2012 წლებში სულ 150-მდე კომპანიას გაუფორმდა საგადასახადო გრაფიკი და შეთანხმება, მაშინ როდესაც 2013-2016 წლებში, გადასახადო შეთანხმება გაუფორმდა 4900-ზე მეტ კომპანიას. თუ პირველ შემთხვევაში თანხა მხოლოდ 10 მილიონს აღწევდა, მეორე შემთხვევაში მისი მოცულობა უკვე 209 მილიონია“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

მისი თქმით, **აღნიშნული ნაბიჯი იდგმება იმისათვის, რომ კომპანიებს მიეცეს შესაძლებლობა, გააჯანსაღონ ბიზნესი, შეინარჩუნონ სამუშაო ადგილები და გადაიხადონ გადასახადები.**

„5 000 ლარამდე ზღვრის შემთხვევაში, აღნიშნული შესაძლებლობით, პრაქტიკულად, 3000-მდე წვრილმა მეწარმემ ისარგებლა. შესაბამისად, ვთვლით, რომ აღნიშნული გადაწყვეტილება ერთმნიშვნელოვნად დაეხმარება მცირე და საშუალო ბიზნესს, უკეთესად შეასრულოს ვალდებულებები სახელმწიფოს მიმართ“...

წარმოდგენილი ცვლილებებით გაფართოვდება იმ პირთა წრე, რომლებსაც შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ უზრუნველყოფის გარეშე საგადასახადო დავალიანების დაფარვის გრაფიკის შედგენით.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ასევე, მიღებულია ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება და 2 წლით გახანგრძლივდა 2008 წლამდე დაწყებული მშენებლობებისთვის შეღავათები.

საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტით დაუსრულებელი მშენებლობების დამთავრების საბოლოო ვადად 2019 წლის 31 დეკემბერი განისაზღვრება.

კანონმდებლობაში დაგეგმილი ცვლილებებით, ხდება ენერგოეფექტურობის წახალისება. საქართველოს მცხოვრებლებს შეეძლებათ, დაამონტაჟონ მიკროსიმძლავრის ელექტროსადგური, აწარმოონ ელექტროენერგია საკუთარი მოხმარებისთვის და, ამავდროულად, პარალელურ რეჟიმში ჩაერთონ ელექტროსისტემაში. ჭარბად გამომუშავებული ელექტროენერგიით მიღებული სარგებელი საშემოსავლო გადასახადით არ დაიბეგრება.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებიდან გამომდინარე, იცვლება აქციზის გადასახადის სტრუქტურა ალკოჰოლიან სასმელებზე.

„ამ საკითხზე ჩვენ ბევრს ვსაუბრობდით. მნიშვნელოვანია, როგორც ლუდის, ისე სპირტიანი სასმელების დაბეგვრა. აღნიშნული ნაბიჯით, ამ შემოთავაზებით ჩვენ, პრაქტიკულად, ვუახლოვდებით ევროკავშირის კანონმდებლობას და, შესაბამისად, ჩვენ წარმოებას ვაძლევთ შესაძლებლობას, რათა განვითარდეს“, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

როგორც მან აღნიშნა, **სპირტიანი სასმელების აქციზით დაბეგვრა განხორციელდება მასში ალკოჰოლის შემცველობიდან გამომდინარე — ლუდის შემთხვევაში, ალკოჰოლის პროცენტული მაჩვენებლით, ხოლო ეთილის სპირტის შემცველ საქონელზე — სასმელში სუფთა ალკოჰოლის მოცულობით.**

— მოგების გადასახადის დეკლარაცია ახალი წესით 50 000-მდე ბიზნესმა წარადგინა. პრაქტიკულად, რეფორმა ადმინისტრირების ნაწილში წარმატებულია. რა თქმა უნდა, ჩვენ კანონმდებლობაში შევიტანთ გარკვეულ ცვლილებებს იმისათვის, რომ ბიზნესს უკეთესად მოვერგოთ. თუმცა, დღეს, ჩვენ პრაქტიკულად სრულად ვართ დარწმუნებული იმაში, რომ რეფორმა სწორადაა გაგებული ბიზნესის მხრიდან, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

პირველი ვიცე-პრემიერის განცხადებით, ეკონომიკური დანაშაულის დეკრიმინალიზაციის მიზნით, მომზადებული საკანონმდებლო პაკეტი საშუალებას იძლევა, რომ გადამხდელმა თანდათან დაფაროს ვალდებულებები, შეუფერხებლად განაგრძოს საქმიანობა და გააჯანსაღოს ბიზნესი.

პრემიერმა რუმინეთის მთავრობას მადლობა გადაუხადა

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რუმინეთის მთავრობას აფხაზეთისა და ცხინვალის ოკუპირებულ ტერიტორიებზე არალეგიტიმურ და საშიშროების შემცველ ქმედებებზე რეაგირებისთვის მადლობა გადაუხადა.

„ხაზი გაესვა 12 მარტს ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში და 9 აპრილს ოკუპირებული ცხინვალის რეგიონში ჩატარებული ე.წ. არჩევნების უკანონობას, რომელიც წარმოადგენს რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის მცდელობას, მოახდინოს ეთნიკური წმენდის არაერთი ტალღისა და ადგილზე მიმდინარე ოკუპაციის ლეგიტიმაცია. მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ გადავუხადო მადლობა რუმინეთის მთავრობას აღნიშნულ არალეგიტიმურ და საშიშროების შემცველ ქმედებებზე რეაგირებისათვის და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერის მნიშვნელობას გავუსვა ხაზი. ვისაუბრეთ აფხაზეთის რეგიონში საოკუპაციო ხაზის გასწვრივ ე.წ. გადასასვლელი პუნქტების დახურვის მძიმე ჰუმანიტარულ შედეგებზე, აგრეთვე ოკუპირებულ ტერიტორიებზე უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების კუთხით არსებულ პრობლემებზე“, — აღნიშნა პრემიერმა

ნინო ბურჯანაძე გიორგი კობახიძეს სასამართლოში უჩივის

„დემოკრატიული მოძრაობა — თავისუფალი საქართველოსთვის“ პარლამენტის თავმჯდომარეს ირაკლი კობახიძეს სასამართლოში უჩივის, სადავო კი კობახიძის გადაწყვეტილება გახდა, საკონსტიტუციო კომისიის შემადგენლობიდან 13 წევრი ბოიკოტის გამო ამოეღო. ბურჯანაძე კობახიძის გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს. მისი აზრით, პოლიტიკოსების ბოიკოტის გამო სიიდან ამოღება მიუღებელია და არცერთი საერთაშორისო პრაქტიკით არ არის გათვალისწინებული.

„არაერთგზის ყოფილა საქართველოს პარლამენტის ან მსოფლიო პარლამენტების ისტორიაში, როდესაც ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით, პოლიტიკურ პარტიებს, ან დეპუტატებს ბოიკოტის რეჟიმისათვის მიუმართავთ და წარმოიდგინეთ, რომ ამ დროს პარლამენტის თავმჯდომარეს ისინი საპარლამენტო სიიდან ამოეღო, კვორუმი შეეცვალა და კენჭისყრა ისე ჩაეტარებინა. სწორედ ასეთი უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო ირაკლი კობახიძემ, რომელსაც, რა თქმა უნდა, მონური მორჩილებით ერთხმად დაუჭირა მხარი „ქართული ოცნების“ დანარჩენმა წევრებმა“, — განაცხადა ბურჯანაძემ.

რამაზ საყვარელიძე: ოპოზიციის პასიურობა არჩევნებში მათ შანსებს ძალიან ამცირებს

ქვეყანაში მიმდინარე და მოსალოდნელი პოლიტიკური მოვლენების შესაფასებლად „ჯიეიჩ-ენი“ პოლიტოლოგ **რამაზ საყვარელიძეს** ესაუბრა. მან ყურადღება გაამახვილა აქტუალურ თემებსა და პოლიტიკური პარტიების აქტივობებზე.

— რას ფიქრობთ საპარლამენტო მმართველობის მქონე ქვეყანაში პრეზიდენტის ასეთ პოლიტიკურ აქტივობაზე, ხომ არ ჰგავს წინასაარჩევნო რეპეტიციას?

— მისი მხრიდან გასაკვირი არ იქნება, რომ ემზადებოდეს საარჩევნო მარათონისთვის. არჩევნებში ხომ ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მონაწილეობის მიღება. რაც შეეხება აქტიურობას, საპარლამენტო რესპუბლიკაში, ფაქტია რომ ამ მხრივ შეზღუდვა არ არის და ყოველივე პიროვნების ტემპერამენტზეა დამოკიდებული. ჯერჯერობით მიჭირს ცალსახად დასკვნის გაკეთება, რომ იგი არჩევნებისთვის ემზადება. თუმცა რომც ემზადებოდეს, ეს სრულიად ჩვეულებრივი მომენტია.

— თქვენი აზრით, სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის მიერ მომზადებული პროექტის ახლანდელი რედაქციით დამტკიცება გამოიწვევს თუ არა ქვეყანაში დაძაბულობის ზრდასა და საპროტესტო აქციებს ოპოზიციის მხრიდან?

— დიახ, შეიძლება მიტინგებში გამოიხატოს. დღესაც რომ იყოს ამის საშუალება, გამწვავებას უკვე გადაიყვანდნენ ამ რეჟიმში. თუმცა, ოპოზიციას არ აქვს ამის საშუალება და ვერ ახერხებს. ხოლო ხსენებული მიზეზი კი არანაირ როლს არ თამაშობს დაძაბულობის გაზრდა-შემცირებაში. ზოგადად ხელისუფლებასა და ოპოზიციურ პარტიებს ერთმანეთთან მუდმივი დაძაბულობა აქვთ, თუმცა ხსენებული მიზეზი რაიმე განსაკუთრებულის დასაწყისი ვერ იქნება.

— თქვენი შეფასებით, მოახლოვებულ თვითმმართველობის არჩევნებზე რა პერსპექტივები აქვთ ოპოზიციურ პარტიებს?

— მეეჭვება, მათ შეძლონ ძალაუფლების მოპოვება. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ოპოზიცია კიდევ უფრო პასიური გახდა. მათ მიზერულამდე შეამცირეს იმის შანსი, რომ შეძლონ რაიმე თანამდებობის მოპოვება. საკუთარი პოლიტიკური აქტივობა ჯერ კიდევ არ მიჰყავთ ამ მიმართულებით და ის აქტივობა, რომელსაც ისინი ეწევიან, თუნდაც კონსტიტუციაზე ან პრეზიდენტის არჩევნებზე, არაა რეგიონში მცხოვრები ხალხისათვის საინტერესო. რეიტინგზე დადებითად არ აისახება უინტერესო პოლიტიკური აქტივობები, ამას კი მათი ზოგადი პასიურობაც ემატება.

გინდა, იყო წარმატებული? – იჩალიჩე დეპუტატობაზე ან გახდი ცესკოს წევრი!

მიუხედავად იმისა, რომ მარტი საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობის მსგავსად, ნასესხების ურჩი გადამხდელი აღმოჩნდა, წარმოუდგენლად ცივ და ქარიან აპრილში პოლიტიკური ცხოვრება საკმაოდ ცხლად მიმდინარეობდა.

პირველი და უმთავრესი, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო ცვლილებებია. როგორც ვიცით, კომისიის რამდენიმე წევრმა დემონსტრაციულად დატოვა საკონსტიტუციო კომისია. ამ ე.წ. „პოლიტიკურ ნაბიჯთან“ მიმართებაში, აბსოლუტურად ვეთანხმები ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელ ანა ნაცვლიშვილს და მის კომენტარს უცვლელად გთავაზობთ:

„მე ვერ დავინახე, პოლიტიკური პარტიები როგორ იბრძოდნენ საქართველოს მოქალაქეებისთვის. ძალიან გულდასაწყვეტია, რომ პოლიტიკური პარტიები არ გრძნობდნენ ამ პასუხისმგებლობას და მათთვის საინტერესო იყო მხოლოდ საარჩევნო სისტემა. ვფქირობ, როცა პოლიტიკოსი ხარ და მოსახლეობას რაღაც პროგრამა უნდა წარუდგინო და მათგან ითხოვ მხარდაჭერას, შენც უნდა გაინტერესებდეს არა მხოლოდ საარჩევნო სისტემა. მაგალითად, როგორ ჩამოყალიბდება მეორე თავი, რომელიც ამ ქვეყნის მოქალაქეების უფლებებს ადგენს. მაგალითად, როგორ ჩამოყალიბდება სასამართლო სისტემისა და პროკურატურის თავი. ამისთვის მათ არ უბრძოლიათ. გამონაკლისი იყო შალვა შავგულიძე („თავისუფალი დემოკრატები“), რომელიც არსამთავრობოებთან ერთად თითოეულ მუხლზე იბრძოდა.

პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები კომისიიდან რომ არ გასულიყვნენ და მოსულიყო პრეზიდენტის სამი წარმომადგენელი, ჩვენს საკონსტიტუციო კომისიაში გაცილებით უფრო სერიოზული განხილვის, დისკურსის პროცესი და კიდევ ერთხელ სოლიდური წინააღმდეგობა დაფიქსირდებოდა იმ უსამართლო მოდელის და ძალიან პრობლემური მუხლის მიმართ, რომელიც კონსტიტუციის მოდელში არის“.

ჩემის მხრივ კი გულწრფელად დავამატებ, რომ არც ერთ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ – არც ერთ პოლიტიკოსს არ დაუფიქსირებია საკუთარი ნება კონსტიტუციაში იმ მუხლის ჩამატების შესახებ, რომელიც ელექტორატს არჩეული პირის გამოწვევის საშუალებას აძლევს. რაც არ უნდა „აპროტესტოს“ „ოპოზიციამ“ და რაც არ უნდა რეკომენდაციები გვაფრქვიოს ვენეციის თუ ევროსაბჭოს კომისიებმა, სანამ ეს მუხლი არ იქნება შეტანილი, იმპოტენტი კონსტიტუცია გვექნება.

კონსტიტუცია არის უმაღლესი კანონი, რომელიც ხალხს ემსახურება და ხალხს უნდა ჰქონდეს უფლება გამოიწვიოს ის, ვინც მათი არჩევანი ვერ გაამართლა.

ასევე, ძალიან სასაცილოა, როდესაც ე.წ. პოლიტიკური ძალები კონსტიტუციაში საარჩევნო ბლოკების აკრძალვის ჩაწერას აპროტესტებენ. სასაცილოა იმიტომ, რომ საქართველოში არსებული ყველა პარტიის წესდება, პროგრამა და „სამოქმედო გეგმა“, Copy-Paste-თაა „შექმნილი“.

ყველანი კარგად ვხვდებით, რომ ეს აკრძალვა მოასუფთავებს პოლიტიკურ ველს, საშუალებას მისცემს ახალი ლიდერების წარმოჩენას და, რაც მთავარია, ბიუჯეტის ფულზე შემყურე ე.წ. „ლიდერებს“ პენსიაზე გაუშვებს.

რაც შეეხება საქართველოს პრეზიდენტს და მის გუნდს, ვიტყვი, რომ ჩვენმა პრეზიდენტმა ვერ გააცნობიერა, რომ საქართველოს პრეზიდენტობა, რამდენადაც შეზღუდული უფლებების მატარებელი არ უნდა იყოს, უდიდესი ტვირთია. უდიდესი ტვირთია დაწყებული იმით, რომ ქართველთა გენეტიკა რამდენიმე ასეულწლიან მონარქიას ითვლის და... დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პირველი პირის მოღვაწეობაც ტრაგიკულად დასრულდა!

სწორედ ამ გაკვეთილებიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა.

პრეზიდენტის უდიდესი იარაღი არის მისი ტრიბუნა. ტრიბუნა, რომელიც საერთო სახალხო ძალით არის გამყარებული და ამ ტრიბუნიდან ნათქვამი ნებისმიერი სიტყვა, ქვეყნის მოქალაქეების სიტყვაა.

დღეს ეს უდიდესი მისია თავისი „მოღვაწეობით“ საქართველოს პრეზიდენტმა მთლიანად გააბითურა და სიტყვა „პრეზიდენტის“ – ლათინურად „წინ მდგომის“ როლი და ფუნქცია სასაცილოდ აქცია.

სიტყვა „სამშობლო“ ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან, უკვე რამდენიმე ათეული წელია, აღარ მსმენია და არც დღეს ველოდი, მაგრამ სიტყვა „სახელმწიფოს“ მნიშვნელობამაც დაკარგა ის მძიმე დატვირთვა, რაც წესით პრეზიდენტის და საკანონმდებლო ორგანოს შეხვედრაზე უნდა ყოფილიყო.

სამწუხარო ეს ყველაფერი. ძალიან სამწუხარო და გარკვეულწილად ტრაგიკულიც.

ნოე ჟორდანიასთვის საქართველო იყო იდეა, ზვიადისთვის სამშობლო, შევარდნაძისთვის ქვეყანა, სააკაშვილისთვის სახელმწიფო, მარგველაშვილისთვის – NGO. ხომ არ დადგა დრო, რომ სამშობლოში სახელმწიფომ ქვეყანა NGO-ს გარეშე ააშენოს?

ციცერონმა თქვა – მონის სურვილი თავისუფლება კი არ არის, მონას უნდა, რომ თვითონ იყოს მონათმფლობელი!! ხალხო მაპატიეთ ჩემი ყველა პოსტი. მაპატიეთ ჩემი ყველა სტატია და გადაცემა. მაპატიეთ, რადგანაც მივხვდი, რომ ვცდები, როცა საქართველოს კანონმდებლებს, საქართველოს უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლებს იმ იდეის, იმ მსოფლმხედველობის, იმ რწმენის და იმ ცხოვრების დასაცავად მოვუწოდებ, რომელსაც საქართველო ჰქვია.

ვცდები იმ უმარტივესი მიზეზის გამო, რომ ჩვენ – ამომრჩევლებს, ელექტორატს, ბენეფიციარებს, მოწყვლადებს, ხალხს, მოქალაქეებს არ გაგვაჩნია სამშობლოს იდეა! არ გაგვაჩნია სამშობლო და ყველანი ვეძებთ მხოლოდ და მხოლოდ ხელფასს, პრემიას, დანამატს, ქრთამს და „კაი ადგილს“.

ვეძებთ ამ ყველაფერში იმიტომ, რომ ჩვენ თვითონ ვართ სააკაშვილები, ბოკერიები, ახალაიები, ისკო დასენები, უგულავები დ.ა.შ.

ვართ და ეს თვისება, თურმე, მრავალი ასწლეულია, რაც გრძელდება!!!

* * *

საოცარი ვნებათაღელვის ფონზე მიმდინარეობს საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნები, რომელსაც მომავალი მსოფლიოსთვის და ბუნებრივია, საქართველოსთვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს.

ძალიან სასაცილოდ ისმის აგრესიული ლიბერალების შეძახილები იმის შესახებ, რომ ტრამპის და მარი ლე პენის საარჩევნო კამპანიები რუსეთის სრული კონტროლისა და გავლენის ქვეშ მიმდინარეობდა.

კლინტონისტების ეს მოსაზრება სრული აბსურდია, რადგანაც ტრამპი ამერიკელია! ნამდვილი ამერიკელი, რომელიც საკუთარ სამშობლოზე, მის მომავალზე და თავისი ქვეყნის მოქალაქეებზე ფიქრობს.

მარი ლე პენიც არ არის ტაჯიკეთის პრეზიდენტობის კანდიდატი და ფრანგი ხალხი თავიანთი ცნობიერებით, სამშობლოს სიყვარულით, მარტო დიუმას ნაწარმოებებიდან არ გვსმენია.

და საერთოდ, მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოებში პრეზიდენტის არჩევნების პროცესის წარმოჩენა, როგორც რუსეთის გავლენისა და პროპაგანდის გაძლიერება, არის სრული სისულელე, რადგანაც:

1. ბრეძსიტი – გადაწყვეტილება მიიღო მოსახლეობამ, რომელთა ასაკი 30 წელზე მეტია.

2. ტრამპის არჩევა განაპირობეს 30 წელზე მეტი ასაკის ამერიკელებმა. დარწმუნებული ვარ, რომ თუ იქნება დათვლილი ლე პენის მომხრეთა ასაკობრივი ზღვარი, ისიც 30 წელზე მეტი იქნება.

3. სააკაშვილის ექსპერიმენტი დაღუპეს 30 წელზე ნაკლები ასაკის ჩინოვნიკებმა.

ეს საკმაოდ სერიოზული საკითხია და არ მინდა დაკონკრეტება, რათა არ გავანაწყენო ჩემი უმცროსი მეგობრები, მით უმეტეს რომ მუდამ ვუსმენ და ხშირად ვითვალისწინებ მათ მოსაზრებებს და ფაქტობრივად, მათი ცხოვრებით ვცხოვრობ.

ხალხო, არ დაგვავიწყდეს, რომ საფრანგეთი ბასტილიის აღების ქვეყანაა.

საფრანგეთი რევოლუციების, ხუთი რესპუბლიკის, ნაპოლეონის, დიუმას, ტამპლიერების, დე გოლის, ალენ დელონის, თავისუფლების, პატრიოტების, სილამაზის, სიყვარულის და ქალის გაღმერთების ქვეყანაა!

საფრანგეთი ის ქვეყანაა, სადაც დამსხვრეული ტირანიის სიმბოლოსთან დგას ქანდაკება, სადაც წერია – აქ ცეკვავენ!

საფრანგეთი ოცნების, ნამდვილი ოცნების და არა... ქვეყანაა!

ამიტომ თამამად ვიტყვი: Vivat La' France!

ძალიან კარგი ფილმია „დაუმორჩილებელნი“, რომელიც ნელსონ მანდელას პრეზიდენტობის პირველ რამდენიმე თვეს ეხება და მთავარ როლს მორგან ფრიმენი თამაშობს. ფილმში მანდელა ამბობს ერთ მეტად მნიშვნელოვან ფრაზას: – ჩვენმა ხალხმა გამარჯვების სიხარული უნდა დაიბრუნოს!

სამწუხაროდ, ჩვენ დიდი ხანია, ეს სიხარული დავკარგეთ.

უამრავი რამაა, რაც უნდა გვიხაროდეს და მაინც გვიხარია, მაგრამ ეს სიხარული ჩუმია, თითქოს და ჩვენი სამზარეულოს გარეთ არ გადის.

ერის, ხალხის სიხარული, პირველ რიგში სახელმწიფომ უნდა აიტაცოს. მან უნდა მოგვცეს სტიმული.

სამწუხაროდ ჩვენთან ასე არ ხდება...

სამაგიეროდ ავტომატურად ჩამოყალიბდა „ინსტრუქცია“ გედნიერი ცხოვრებისთვის:

1. გინდა, რომ კანონიერად არ წახვიდე ჯარში? – გაწევრიანდი „გირჩში“.

2. გინდა, რომ არაფერს აკეთებდე და კანონიერად გძონდეს ბევრი ფული მსუყე პენსიით? – შექმენი პოლიტიკური პარტია და იჩალიჩე დეპუტატობაზე, ან გახდი ცესკოს წევრი!!!

3. გინდა, რომ გახდე ცნობილი მწერალი? – წერე ტუალეტში და გამოაქვეყნე სელფი.

4. გინდა, რომ გახდე წარმატებული ადამიანი, მაგრამ არაფრის ნიჭი არ გაქვს და არც რაიმეს კეთება შეგიძლია? – გახდი პედერასტი.

სამწუხაროდ ეს რეალობა და ამ მწარე რეალობის შეცვლაში მთავარი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს.

გია გაბრიჭიძე

გინდა, გახდე წარმატებული ადამიანი, მაგრამ არაფრის ნიჭი არ გაქვს და არც რაიმეს კეთება შეგიძლია? – გახდი პედერასტი.

სტრუქტურამ 100 მლნ- მდე ბიუჯეტით, 4 000-მდე თანამშრომლით, აგენტურა ვერ „გაშიფრა“?

თავდაცვის სამინისტროს 2017–2020 წლების სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი დამტკიცებულია. მასში საუბარია ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაზე, ოკუპირებულ ტერიტორიებზე, თავად თავდაცვის სამინისტროს სტრატეგიაზე. გარე საფრთხეების თვასაზრისით ყურადღება გამახვილებულია რუსეთის ქმედებებზე, რომელიც გამოწვევებს უქმნის საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს უსაფრთხოებას.

„რუსეთის მზარდი საერთაშორისო ამბიციები გამოწვევის წინაშე აყენებს ევროპისა და საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას, კრემლი განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს „რბილი ძალის“ ელემენტების გაძლიერებაზე, რათა უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება“, – ნათქვამია მიმოხილვაში.

ანალიტიკოსი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ამირან სალუქვაძე** იმედოვნებს, რომ ეს დოკუმენტიც, წინამორბედების მსგავსად, დოკუმენტად არ დარჩება: შინაარსის კუთხით, სალუქვაძე რამდენიმე ნიუანსზე ამახვილებს ყურადღებას:

„მაგალითად, ტექნიკის უტილიზაციის მიმართულებით მხოლოდ სახეობებია ჩამოთვლილი – საჰაერო თავდაცვის ტექნიკა, ჯავშანტექნიკა და ა.შ. ამის იქით რა იგულისხმება, ჩვენ არ ვიცით და კარგი იქნება, გაგვაგებინონ, რადგან ძველი ტექნიკა, რომელიც საბჭოთა მემკვიდრეობით საქართველოში დარჩა და რომლის რესურსი მართლაც ამოწურული იყო, უკვე უტილიზებულია, ხოლო თუ საუბარია ტექნიკაზე, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის წინ შევიძინეთ და საკმაოდ დიდი თანხებია გადახდილი, მისი უტილიზება არ შეიძლება, – ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. დასაფიქრებელია ჯავშანტექნიკის უტილიზების საკითხიც, რატომ დადგა იგი დღის წესრიგში და რომელ ტექნიკაზეა საუბარი? ასევე თვალში მომხვდა, რომ რუსული წარმოების, „კალაშნიკოვის“ ტიპის ავტომატების უტილიზება არის ჩაფიქრებული. ამ საკითხსაც დიდი სიფრთხილით მოვეკიდებოდი... ერთი სიტყვით, ბევრი ნიუანსია, რომელიც სერიოზულ განხილვებს საჭიროებს. **ახლა დიდი ამბავია ატეხილი სავალდებულო სამხედრო სამსახურთან დაკავშირებით. ეს საკითხები ასახულია სტრატეგიულ მიმოხილვაში და ვისურვებდი, რომ ის, რაც ჩაიფიქრა თავდაცვის სამინისტრომ – სავალდებულო სამსახურში გაწვეული ჯარისკაცები სრულად ჩაერთონ საბრძოლო მომზადების ციკლში, რეალურად განხორციელდება“.**



ანალიტიკოსი ზოგი მისი კოლეგის მიერ მთავრობის კრიტიკასაც გამოეხმაურა, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო რეალურად, ქვეყნის უსაფრთხოებაზე არ ზრუნავს და ამ მიზნით ადეკვატურ სახსრებს არ გამოყოფს, ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ არსებული რესურსის უფრო ეფექტურად ათვისებაა შესაძლებელი:

„როგორც მე ვნახე, დოკუმენტში საბიუჯეტო სახსრების ზრდაა დაგეგმილი. სამხედრო ბიუჯეტი არასდროს არის საკმარისი, მაგრამ ამ საკითხებზე სპეციალისტებმა პასუხები რომ გაგცეთ, ჩახედულები უნდა ვიყოთ სიღრმისეულად, რისი შესაძლებლობაც არ გვაქვს. მე არ ვსაუბრობ საიდუმლო საკითხებზე, რომელთანაც, წესით, არ უნდა გვქონდეს დაშვება. ზოგადად კი, ქვეყანაში რესურსები 2005 წლიდან გამოჩნდა. მანამდე თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტი, ფაქტობრივად, არ გააჩნდა. **რამდენად სწორად იხარჯებოდა და იხარჯება რესურსები, – ეს გასაანალიზებელია. თუმცა საკმარისი ბიუჯეტი გვაქვს იმისთვის, რომ მეტად ეფექტურად გამოვიყენოთ.** ძალიან ბევრ საკითხზე ღიად ვერ ვსაუბრობ. ინფორმაცია მეტი მაქვს, მაგრამ არის თემები, მაგალითად, საბრძოლო მომზადება, მზადყოფნა, რაზეც ღიად ვერ ვისაუბრებ“.

უშუალოდ რუსეთისგან მომდინარე საფრთხეები, როგორც დოკუმენტში ვკითხულობთ, საქართველოში ელიან, რომ „კრემლი განსაკუთრებულ აქცენტს გააკეთებს „რბილი ძალის“ ელემენტების გაძლიერებაზე, რათა უზრუნველყოს სახელმწიფო ინსტიტუტების შესუსტება, პრორუსული საზოგადოებრივი და პოლიტიკური ჯგუფების გაძლიერება და დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის დისკრედიტაცია... რუსეთი გაგრძელებს ძალისხმევას საქართველოს ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის დასუსტების, ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებს შორის შუღლის გაღვივებისა და მართვადი დესტაბილიზაციის შექმნის მიმართულებით“.

მსგავსი აქტივობები ძირითადად სპეცსამსახურების სამოქმედო არეალშია, ამდენად, ჯაშუშური ქსელების ასალაგმად მნიშვნელოვანია აქტიური კონტრდაზვერვითი საქმიანობა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონსტრდაზვერვით საქმიანობას კი სპეციალისტები დიდი ხანია, აკრიტიკებენ.

უშიშროების გადამდგარ პოლკოვნიკ ბესიკ ალადაშვილის შეფასებით, ამ მიმართულებით თავდაცვის სამინისტროს მიერ შედგენილი დოკუმენტი გაცილებით რეალურია, ვიდრე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ამას წინათ წარმოდგენილი ანგარიში:

„თუ არ ვიცით, საფრთხე საიდან მოდის და ვინ არის მისი შესაძლო ავტორი, ბუნებრივია, მის განეიტრალებაზეც ვერ ვიმუშავებთ. აქ საუბარი არ არის იმაზე, რომ მოხარულები ვართ რუსეთის დასახელებით, ჩვენ ამოვდივართ რეალობიდან. **როდესაც სახელმწიფოს შენი ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს და მცოცავი ოკუპაცია, ფაქტობრივად, ანექსიაში გადავიდა, ამ ქვეყნისგან სიკეთეს არ ელი და როდემდე უნდა ეფერო, თუნდაც ანალიტიკურ დოკუმენტში?!** სუს-ისგან ეს ზედმეტი სიფრთხილე ჩემთვის გასაოცარია. ევროპის, განსაკუთრებით აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების სპეცსამსახურები ყოველწლიურ ანგარიშებში საკმაოდ პირდაპირ ასახელებენ რუსეთის აქტივობებს, – იქნება ეს აგენტურული მუშაობა, იდეოლოგიური, კულტურული თუ ჰუმანიტარული პროექტებით შენიღბული და ა.შ. ანუ სტანდარტი არსებობს“, – ამბობს ალადაშვილი. იგი სუს-ის მუშაობას კრიტიკულად აფასებს და ფიქრობს, რომ თავად ამ უწყების მიდგომები განაპირობებს საზოგადოების მისდამი უნდობლობას: „სუს-ის ანგარიშში მითითებულია – „გამოვლინდა 15 სტუდენტიო“. ეს საქმე დამუშავების პროცესშია, ანუ ნახევარფაბრიკატია. ეს არ არის შესრულებული ანგარიში. **გამოდის, რომ ერთი წლის მანძილზე ამ სტრუქტურამ, რომელსაც 100 მილიონამდე აქვს ბიუჯეტი და თითქმის 4 000 კაცი ჰყავს დასაქმებული, რეალური აგენტურა ვერ „გაშიფრა“. ანგარიშში მოცემულია ზოგადი ფრაზები, ანუ არაფერი აქვთ სათქმელი და ასე ინიღბებიან.** რაც შეეხება სახელმწიფო საიდუმლოებას და იმის მოშველიებას, რომ კონტრდაზვერვითი საქმიანობის შესახებ კანონი არ გვაძლევს საუბრის შესაძლებლობასო, აბსურდია. კანონში წერია, რომ არ უნდა მოხდეს სპეცსამსახურების მუშაობის მეთოდების, ხერხების და ა.შ. განსაჯაროება. იქ არ წერია, რომ თუ შენ პირი გამოავლინე და საქმე სასამართლოსთვისაა გადაცემული, მისი იდენტიფიცირების უფლება არ გაქვს. სააკაშვილის დროს სპეცსამსახურები ინიღბებოდნენ ზეაქტიურობით და ხშირად უდანაშაულო ხალხს იჭერდნენ, დღეს კი აბსოლუტური ვაკუუმია შექმნილი და უნდა ვიმკითხავოთ, სად მიდის 100 მილიონი ლარი. სუს-ის საქმე არ არის, გამგებელს, ან გამგეობის რომელიმე ჩინოვნიკს სდიოს. ამისთვის არსებობს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, რომელიც აქამდეც მუშაობდა კორუფციის მიმართულებით. **შემაჯამებლად რომ ვთქვათ, ძირითადი გამოწვევა 2 მიმართულებით გვაქვს: საერთაშორისო ტერორიზმი და უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების მუშაობა.** მთელი რესურსები კონტრდაზვერვისა და ანტიტერორისტული მიმართულებით უნდა მიიმართოს“, – ფიქრობს ალადაშვილი.

დიანა მუსელიანი

ნუკრი ქანთარია: საითკენ გაურბის თვალი მარგველაშვილს?

მარგველაშვილს ყოველთვის გაურბის თვალი იქითკენ და უნდა, რომ სხვა საქმეებშიც ჩაერიოს, – ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა ნუკრი ქანთარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

მისი განცხადებით, კოლეგიის მიერ არჩეული პრეზიდენტი გაცილებით უფრო უპრიანია საპარლამენტო მოდელზე საუბრისას, რათა არ მოხდეს საყოველთაო მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული პრეზიდენტის და ამავე დროს მისი უფლება მოვალეობების დისბალანსი.

„მე რამდენჯერმე მითქვამს და ვფიქრობ, რომ კოლეგიის მიერ არჩეული პრეზიდენტი გაცილებით უფრო უპრიანია საპარლამენტო მოდელზე საუბრისას, რათა არ მოხდეს საყოველთაო მაღალი ლეგიტიმაციით არჩეული პრეზიდენტის და ამავე დროს მისი უფლება მოვალეობების დისბალანსი. როგორც ჩანს, პრეზიდენტი მოწყურებულია რაღაც გარკვეულ ბევრ საქმეს. პრეზიდენტი საპარლამენტო მოდელის დროს არის უფრო სიმბოლო და არბიტრი. გარკვეულად ოქროს სათადარიგო მოთამაშე, რომ კრიზისის დროს უნდა ჩაერთოს და იყოს წარმომადგენლობითი და არა ის, რომ ყოველდღიურ საქმიანობაში მიიღოს მონაწილეობა. მარგველაშვილს ყოველთვის გაურბის თვალი იქითკენ და უნდა, რომ სხვა საქმეებშიც ჩაერიოს. შეიძლება ეს არის კრიტიკის მიზეზი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ უფუნქციო პრეზიდენტია“, – განაცხადა ქანთარიამ.

ირაკლი სესიაშვილი: „ჩემი შვილი არის უწესიერესი“

ჩემს შვილს არასდროს საქმე არ ჰქონია სამართალდამცავ ორგანოებთან და არც ერთ საქმეში არ ფიგურირებს! – „ენმ“-ს გუშინდელ განცხადებას და ბრალდებას ირაკლი სესიაშვილი პასუხობს. პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ოპოზიციური პარტიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას სიბინძურეს უწოდებს და ამბობს, რომ ეს უშუალოდ მის წინააღმდეგაა მიმართული. ირაკლი სესიაშვილი ადასტურებს, რომ მისი შვილი სუს-ში მართლაც მუშაობს, თუმცა ინფორმაცია, რომ ის კრიმინალურ საქმეში ფიგურირებს, ტყუილია.

„აქ კონკრეტულ ფაქტთან არა გვაქვს საქმე. საქმე გვაქვს ჩვეულებრივ სიბინძურესთან. რა ხასიათიც აქვს ნაციონალურ მოძრაობას, ზუსტად ის აშკარა გამოვლინებაა ამ შემთხვევაში ეს ცილისწამება. ჩემი შვილი არის უწესიერესი, განათლებაზე, სწავლაზე, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ადამიანი. ერთი თვის წინათ მართლაც დაიწყო სუს-ში მუშაობა ექვსთვიანი ხელშეკრულებით იმის გამო, რომ მას აქვს ინტერესი, ამ მიმართულებით განვითარდეს, ამის სრული უფლება მას აქვს. სავარაუდოდ, სწორედ იმის დემონსტრირებისათვის, რომ მჭიდრო ურთიერთობა ვართ ნაციონალურ მოძრაობასთან, ეს ბრალდებები ეყრება ბიჭს.

ირაკლი სესიაშვილის ოჯახი ბევრ ადამიანს ეხმარებოდა, ბევრ ადამიანს ეხმარებოდა ეკონომიკურად

ირაკლი გოგავა: ქვეყნის განვითარებისთვის აუცილებელია სამხარეო მოწყობაზე გადასვლა

„საქართველოს განვითარების ლაბორატორიის“ დირექტორმა ირაკლი გოგავამ „რეპორტიორთან“ საუბარში თურქეთში ჩატარებული რეფერენდუმი, შესაძლო საკონსტიტუციო ცვლილებები და სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები შეაფასა.

— თქვენი აზრით, უნდა შეიცვალოს თუ არა საარჩევნო სისტემა და შერეულიდან გადავიდეს მხოლოდ პროპორციულზე?

— პირადად ჩემი და „საქართველოს განვითარების ლაბორატორიის“ პოზიცია არის ის, რომ 100%-ით პროპორციული არჩევნები საქართველოსთვის არ უნდა იყოს მისაღები, ვინაიდან ჩვენ უნდა შევაფასოთ რეალობა, სადაც პოლიტიკურ პარტიებში გაერთიანებულია საქართველოს მოსახლეობის მაქსიმუმ 10%, დანარჩენი მოსახლეობა არ არის არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი და მათ ჩვენ გარკვეულწილად ვუზღუდავთ, იყოს არჩეული საკანონმდებლო ორგანოში. ვფიქრობ, რომ შერეული სისტემა, სადაც მაჟორიტარულიც არის და პროპორციულიც, აბსოლუტურად გამოხატავს იმ საჭიროებას, რომელიც ქვეყნის წინაშე დგას. ჩვენ ცალსახად დავინახეთ, რომ პოლიტიკური პარტიები ვერ ჩამოყალიბდნენ იდეოლოგიის გარშემო და ეს არის ერთი ადამიანის გარშემო გაერთიანებები. 200-ზე მეტი პოლიტიკური პარტიაა და, ფაქტობრივად, არცერთი მათგანი დროსა და სივრცეში არ წარმოადგენს ღირებულებას, მხოლოდ ლიდერებზე არიან ჩამოკიდებული. ამ რეალობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რომ არსებობდეს მაჟორიტარული არჩევნები. ნუ დავტოვებთ ადამიანებს და განსაკუთრებით რეგიონებში იმ პირების გარეშე, ვისთანაც მიესვლებათ. თუ ქვეყანაში ნორმალური არჩევნები ჩატარდება, მაჟორიტარების ხარისხი ყოველთვის უკეთესია, ვიდრე პარტიული სიით გასულების.

მე ბევრ საარჩევნო კამპანიაში მიმიღია მონაწილეობა და შემიძლია ვთქვა, რომ მაჟორიტარი კანდიდატების არჩევა უფრო გულდასმით და გარკვეულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით ხდებოდა. ამიტომ, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მაჟორიტარული კომპონენტი არის შესანარჩუნებელი.

— შესაძლოა, რომ პრეზიდენტის არჩევის წესი შეიცვალოს და პრეზიდენტის არჩევა ირიბი წესით მოხდეს...

— ვფიქრობ, რომ იმ უფლებამოსილებებით, რაც დღევანდელ საქართველოში პრეზიდენტის ინსტიტუტს გააჩნია, პირდაპირი საყოველთაო არჩევნები არ იქნება სწორი. საქართველო არ არის მდიდარი ქვეყანა და საყოველთაო არჩევნები ძალიან ძვირი ჯდება. ეს უკვე საკმარისი არგუმენტია იმისათვის, რომ პრეზიდენტი არჩეულ იქნას პარლამენტის მიერ. საარჩევნო კოლეგიის შემოღება უნდათ, თუმცა, ვფიქრობ, რომ ახალი ველოსიპედის გამოგონება არ არის საჭირო და პრეზიდენტი უნდა აირჩიოს პარლამენტმა, რადგან სწორედ პარლამენტს აქვს საყოველთაო არჩევნებში ხალხისგან მოპოვებული მანდატი.

ასევე, ფედერალური პროკურორის დამტკიცება პარლამენტის მიერ, ჩემი აზრით, მისაღებია. ეს არის კლასიკური მოდელი, ვინაიდან ის უნდა იყოს პასუხისმგებელი არჩევითი ორგანოს წინაშე.

— როგორ ფიქრობთ, კონსტიტუციაში ქვეყნის ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებით თუ უნდა შევიდეს რაიმე ცვლილება?

— ქვეყნის განვითარებას პირველი, რაც აფერხებს, ეს არის ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა. ქვეყანა არის მოწყობილი რაიონების, ე.წ. მუნიციპალიტეტების მიხედვით, რაც არის საბჭოთა მოდელი. ის რესურსები, რომელიც იხარჯება, იხარჯება არაეფექტურად. ვფიქრობ, რომ საჭიროა საქართველოს ისტორიულ, ანუ სამხარეო მოწყობაზე გადასვლა. 3000-წლიანი ისტორიის მანძილზე ბუნებრივად ჩამოყალიბდა მხარეები. ვფიქრობ, მუნიციპალური ბიუჯეტების ნაცვლად საჭიროა რეგიონალური ბიუჯეტების შემოღება. ამ შემთხვევაში თანხები უფრო ეფექტურად იქნება გამოყენებული, კონტროლის მექანიზმიც უკეთესი იქნება. ჩვენი ორგანიზაცია ემხრობა სამხარეო საკრებულოს ჩამოყალიბებას. ქვეყნის განვითარებისთვის სამხარეო მოწყობაზე გადასვლა არის აუცილებელი.

ასევე, დღეს ძალიან დასუსტებულია გუბერნატორის ინსტიტუტი და, შესაბამისად, მათი მარგი ქმედების კოეფიციენტი არის დაბალი. გარდა ამისა, სამხარეო მოწყობაზე გადასვლა და სამხარეო ბიუჯეტის და სამხარეო საკრებულოს ორგანიზება გარკვეულწილად დააჩქარებს ქვეყნის განვითარებას, მათ შორის, სამხარეო-რეგიონალური მასშტაბის ეკონომიკურ პროექტებს უფრო ეფექტურს გახდის და ამასთან, შემცირდება ცენტრალიზაციის ხარისხი. მეტი ძალაუფლება ადგილებში უნდა გადავიდეს, ცენტრი არ უნდა წყვეტდეს, ვინ სად დაინიშნოს რომელიღაც სოფელში და ა.შ.

— რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი სოხუმში ოფიციალურად იმყოფებოდა. როგორ შეაფასებთ მის ვიზიტს და თქვენი აზრით, რა მიზანს ემსახურებოდა?

— სერგეი ლავროვის ვიზიტის ოფიციალური საბაბი გახლდათ რუსეთის საელჩოს გახსნა სოხუმში. თუმცა, ვფიქრობ, რომ დროდადრო რუსეთი მსგავს პროვოკაციულ ნაბიჯებს დგამს იმის შესახსენებლად, რომ აფხაზეთის თემა არსებობს. მათ აფხაზეთისა და ცხინვალის თემა საქართველოსთან ვაჭრობისთვის სჭირდებათ. ფაქტობრივად, მზაობა არსებობს, რომ რუსეთმა აფხაზეთსა და ცხინვალზე უარი თქვას, თუ საქართველოსგან გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით იქნება გარანტიები. პირველ რიგში, მათ აინტერესებთ საქართველოში უცხო ჯარების არგანლაგების გარანტია, ანუ, ე.წ. ნეიტრალიტეტი. მეორე, ეს არის ჩრდილოეთ კავკასიასთან საზღვრის დაცვა, სადაც არსებობს ტერორიზმის საფრთხე და მძლავრობს სეპარატისტული და ნაციონალისტური მოძრაობები. რა თქმა უნდა, მესამე საკითხი არის იმის გარანტია, რომ საქართველო NATO-ში არ შევა. ეს არის ის საკითხები, რომელიც რუსეთს აინტერესებს. პირადად მე, ურთიერთობა მაქვს აფხაზებთანაც და ოსებთანაც და ისინი პირად საუბრებში ამბობენ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე, რასაც ისინი გრძნობენ, ეს არის ის, რომ საქართველოსა და რუსეთს შორის არ მოხდეს ურთიერთობების ნორმალიზება. ეს შეიძლება იყოს ჩვენთვის რეცეპტი — რუსეთთან ურთიერთობის გარკვეული ნორმალიზება საჭიროა, ჩვენი დუხჭირი ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე. რუსეთთან ურთიერთობის გარეშე ქვეყნის ეკონომიკური წარმატება, პრინციპში წარმოუდგენელია. ბევრი გზა და საშუალება ნახეს, მაგრამ რუსულ ბაზარს ვერაფრით ანაცვლებენ. მათ შორის, ჩინური ბაზარიც კი ვერ გახდა ალტერნატივა. თუმცა, საქართველო აფხაზეთის თემის იგნორირებას ჯიუტად აგრძელებს და ლავროვის ასეთი ვიზიტების შედეგად უფრო წინ იწევს ხოლმე ეს საკითხი.

მეორე საკითხი, რაც მხოლოდ ვარაუდია, არის ის, რომ სირიაში მიყენებულ ამერიკულ დარტყმაზე, სადაც რუსეთი, ფაქტობრივად, დაამცირეს, რუსეთი აუცილებლად შეეცდება, გასცეს პასუხი. რუსეთის არსენალისთვის სირიაში პასუხი არის ძალიან შეზღუდული, ფაქტობრივად, ვერაფერს გააკეთებს. ამიტომ, რუსები გასცემენ ასიმეტრიულ პასუხს და ამის საშუალება მათ აქვთ სულ რაღაც სამ ქვეყანაში. ეს არის უკრაინა, საქართველო და ავღანეთის ჩრდილოეთი ნაწილი. ეს აჩენს იმის საფრთხეს, რომ საქართველო კიდევ ერთხელ გახდეს რუსეთის სამიზნე. კარგად გვახსოვს, რომ 2008 წელს დასავლეთმა კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარა და რამდენიმე თვეში რუსეთთან ომი მივიღეთ. ეს იყო სწორედ ის ასიმეტრიული პასუხი, რომელსაც რუსეთი დაჰპირდა კოსოვოს აღიარებისთვის დასავლეთს. ამის მსგავსი არ არის გამორიცხული ახლაც. ჩემთვის რთული სათქმელია, კონკრეტულად რა შეიძლება იყოს ეს და რა მოიხარშება კრემლში, მაგრამ შეიძლება იყოს დონბასის შეიარაღებული რაზმების იერიშზე გადასვლა კიევის, ხარკოვის ან მარიუპოლის მიმართულებით, დაახლოებით იგივე სცენარია აფხაზეთსა და ცხინვალთან. ნებისმიერ შემთხვევაში, თუ არ მოხდა აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობების გარკვევა, ჩვენ ვართ ერთ-ერთი პირველი, ვინც დაზარალდება.

ესაუბრა
მარიამ სიხარულიძე

ნუთუ წყალში გადაიყარა 200 მილიონი?

შპს „მექანიზატორი“ - არამომგებიანი და არაეფექტური საწარმო

სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული საწარმოების მართვა რომ ზოგადად არაეფექტურია, ამაზე საქართველოში დიდი ხანია, ლაპარაკობენ და სწორედ ამ არაეფექტურობის დასაძლევად დაიწყო გასული საუკუნის 90-იანი წლებიდანვე პრივატიზაციის პროცესი. მათ შორის გამონაკლისი არ ყოფილა აგრარული სექტორი, სადაც, ბოლო წლების მონაცემებით, 71 სახელმწიფო საწარმოდან 15 ფუნქციონირებდა და მათ 3 უწყება კურირებდა.

ამ საწარმოებს შორის არის შპს „მექანიზატორი“, რომელიც რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. საწარმოს მთავარი დანიშნულება აგრარული სექტორის საჭირო ტექნიკითა და მექანიზაციით მომსახურება გახლდათ. იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ რადგან საქართველოში მიწის მესაკუთრეების უმეტესობას მიწის მცირე ნაკვეთები აქვთ სარგებლობაში და მსხვილი ტექნიკის შეძენის რესურსები არ გააჩნიათ, საქართველოს ხელისუფლებას შეექმნა მსხვილი კომპანია, რომელსაც სხვადასხვა რეგიონში ექნებოდა განთავსებული მექანიზაცია. ხელისუფლება იმედოვნებდა, რომ ამით, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის განვითარებას შეუწყობდა ხელს, მეორე მხრივ კი, თავად კომპანიაც, ცხადია, მომგებიანი იქნებოდა.

ამ დღეებში საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გამოაქვეყნა შპს „მექანიზატორის“ შესაბამისობის აუდიტი, რომლის მიზანიც არ ყოფილა კომპანიის მიერ სოფლის მეურნეობაში შეტანილი წვლილის შეფასება — აუდიტმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ძირითადი აქტივების მართვა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების აქტივებით მიღებული შემოსავალი შეაფასა.

აუდიტს კომპანიის 2013-2014 წლების საქმიანობა აქვს შეჯამებული, რის შედეგადაც საკმაოდ საინტერესო დასკვნები გამოიკვეთა:

2014 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას ბალანსზე ერიცხებოდა, დაახლოებით, 200,000,000 ლარის ღირებულების სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, რომლის ინვენტარიზაციაც წლების განმავლობაში არ განხორციელებულა. შესაბამისად, კომპანია არ ფლობს სრულ და ზუსტ ინფორმაციას მის ბალანსზე რიცხული ტექნიკა-იმპლემენტების არსებობისა და მდგომარეობის შესახებ. კომპანიის ზოგიერთი ტექნიკა-აგრეგატის უტილიზაცია საკმაოდ დაბალია. მაგალითისთვის: გამოყენების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებლები აქვთ კარტოფილის მოსავლის ამღებ ტექნიკას, ქვის ამკრეფ ტექნიკასა და თვითმავალ სათიბელას. აღნიშნული ტექნიკა-აგრეგატები კომპანიამ ჯამურად შეისყიდა 3,000,000 ლარად, ხოლო წლის განმავლობაში აღნიშნული ტექნიკით მიღებულმა შემოსავალმა 12,000 ლარი (0.4 %) შეადგინა.

კომპანიას, საბუღალტრო მონაცემებით, 2014 წლის განმავლობაში სულ მიღებული აქვს 19,7 მილიონი ლარის ოდენობის შემოსავალი, თუმცა ეს რიცხვი არ ედრება კომპანიის მიერ შედგენილ ხელშეკრულებების რეესტრს. ხელშეკრულებებისა და მასთან დაკავშირებული მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას აქვს არასისტემატიზებული ხასიათი.

შემოსავლების სრულად აღრიცხვისათვის კომპანიაში არ არის დანერგილი ადეკვატური კონტროლები. შესაბამისად, მაღალია ტექნიკა-იმპლემენტების არაკეთილსინდისიერად გამოყენების რისკი.

ეს მონაცემები კარგად აჩვენებს, რომ, როგორც საწარმო, შპს „მექანიზატორი“ არამომგებიანი და არაეფექტიანია. აუდიტის რეკომენდაციები მართვის გასაუმჯობესებლად იქნა გაკეთებული, თუმცა საწარმოს პრივატიზებაც ამ სიტუაციაში, სავარაუდოდ, ასევე გამოსავალი შეიძლება იყოს. ცალკე თემაა, რომ რაც წლები გადის, ტექნიკა, რომელსაც შპს „მექანიზატორი“ ფლობს, სულ უფრო და უფრო ძველდება. ინვესტიციით დაინტერესებას მაინცდამაინც არც აუდიტის წარმოდგენილი ანგარიში უწყობს ხელს.

ირინა გურული

გერმანიაში ქართველთა დანაშაულმა იკლო

იმ 25 ქვეყანას შორის, რომლის მოქალაქეებიც გერმანიაში ყველაზე მეტ დანაშაულს ჩადიან, საქართველო აღარ მოხვდა.

გერმანიის შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული სტასტიკის მიხედვით, 2016 წლის პერიოდში უცხოელების მიერ ჩადენილი 616,230 დანაშაულიდან, საქართველოს მოქალაქეებზე მხოლოდ 6,541 დანაშაული მოდის (1,1%).

სტატისტიკის თანახმად, 2016 წელს გერმანიაში 6,372,526 დანაშაული აღირიცხა. წინა წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0,7%-ით გაიზარდა. დანაშაულის ჩადენის სიხშირე 100,000 მოსახლეზე 7,797-დან 7,755-მდე შემცირდა. **ცნობისთვის, გერმანიის პოლიციამ გასულ წელს ქართველების მიერ ჩადენილი კანონდარღვევის 6 000 ფაქტი აღრიცხა.**

როდის გვექნება ეკოლოგიურად სუფთა ბენზინგასამართი სადგურები?

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე სოლომონ პავლიაშვილი სლოვაკ ბიზნესმენებს კერძოდ, კომპანია „TANK-MAT"-ის წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოში ეკოლოგიურად სუფთა ბენზინგასამართი სადგურების განთავსებაზე იმსჯელეს, რომლებიც მწვანე ტექნოლოგიების პრინციპებთან შესაბამისობაში იქნება. კერძო კომპანიამ მსგავსი სადგურები სლოვაკეთში თითქმის 50 ლოკაციაზე განათავსა. მხარეებმა, საქართვლოში მიკროელექტრო სადგურების მშენებლობის საკითხებიც განიხილეს, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს მწვანე ტექნოლოგიების დანერგვას და ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნას.

პროექტების განვითარება კიდევ უფრო ხელს შეუწყობს მწვანე ეკონომიკის წახალისებას, როგორც საგადასახადო შეღავათებით, ასევე მათ მიერ გამომუშავებული ენერგიის გარანტირებული რეალიზაციით.

შავი ზღვის სანაპირო ზოლის საველე აღწერა დასრულებულია

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნის პროექტის ფარგლებში შავი ზღვის სანაპირო ზოლის საველე აღწერითი სამუშაოები დაასრულა.

საჯარო რეესტრის საველე ოპერატორებმა სრულად აღწერეს შავი ზღვის სანაპირო ზოლის ტურისტულად ისეთი აქტიური არეალები, როგორიცაა ბათუმი, ქობულეთი, ფოთი, სარფი, გონიო, კვარიათი, ჩაქვი, ბუკნარი, ციხისძირი, შეკვეთილი, ურეკი, გრიგოლეთი, მალთაყვა და ანაკლია.



საქართველოს
პროფილაქტიკური მედიცინის
მეცნიერებათა აკადემია
Academy of Sciences
of Preventive Medicine of
GEORGIA

საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის განცხადება აკადემიაში ახალი წევრების მიღების შესახებ

საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია, აკადემიის საერთო კრების დადგენილების (ოქმი №2, 2017 წლის 12 აპრილი) თანახმად, აცხადებს აკადემიის წევრების – აკადემიკოსების მიღებას კონკურსის საფუძველზე შემდეგ ვაკანტურ თანამდებობებზე:

- პირველი განყოფილება – გარემოს მედიცინისა და კურორტოლოგიის განყოფილება – 6 ადგილი;
- მეორე განყოფილება – ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის განყოფილება – 2 ადგილი.

განცხადებები და დებულებით გათვალისწინებული საბუთები მიიღება 2017 წლის 31 მაისამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ., 29, I კორპუსი, V სართული.

ტელ.: 599 76 10 00; 599 79 79 78. E-mail: profmedakademia@mail.ru

www.facebook.com/საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია

აკადემიის გამგეობა

ირაკლი ფაღავა
აკადემიის პრეზიდენტი
26.04.2017

საზოგადოებრივი საპირფარეშოები თბილისში

თბილისის მასშტაბით საზოგადოებრივი საპირფარეშოები პირველ ეტაპზე 30 ადგილზე მოეწყობა, – ამის შესახებ დედაქალაქის მერიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია აღნიშნული.

როგორც განცხადებაში წერია, საზოგადოებრივი საპირფარეშო იფუნქციონირებს ნაღდ ანგარიშსწორებაზე, ან/და სპეციალურ ბარათებზე (მაგ. „მეტრომანი"). მერიის ცნობით, აუქციონში გამარჯვებული ვალდებულებას აიღებს საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოვლა-პატრონობასა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე. მოიჯარე, ასევე, ვალდებული იქნება, უზრუნველყოს ცხელი ხაზის მუშაობა კვირაში 7 დღის განმავლობაში, 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით.

„თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტო საზოგადოებრივი საპირფარეშოების (საზოგადოებრივი რეტერატების) მოწყობისთვის აუქციონს უახლოეს მომავალში გამოაცხადებს. მიწის ნაკვეთები 20-წლიანი სარგებლობის უფლებით გაიცემა.

აუქციონის პირობების თანახმად, საზოგადოებრივი საპირფარეშო ადაპტირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის, როგორც ტექნოლოგიური მოწყობილობით, ასევე ფართით. საინფორმაციო წარწერებზე კი გათვალისწინებული უნდა იყოს ბრაილის შრიფტი.

საზოგადოებრივი საპირფარეშო უნდა იყოს მსუბუქი ნაგებობა – საძირკვლის გარეშე, ლითონის კარკასზე აწყობილი, თანამედროვე, გარე და შიდა მოხმარებისთვის ანტივანდალური მასალებით მოპირკეთებული. თითოეული მათგანის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 კვ.მ-ს. კონსტრუქცია, ასევე, აღჭურვილი უნდა იყოს ბავშვის გამოსაცვლელი მაგიდით, რომელიც სპეციალური, ანტიბაქტერიული მასალით იქნება დამზადებული.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულებას აიღებს საზოგადოებრივი საპირფარეშოს მოვლა-პატრონობასა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე. მოიჯარე, ასევე, ვალდებული იქნება, უზრუნველყოს ცხელი ხაზის მუშაობა კვირაში 7 დღის განმავლობაში, 24-საათიანი სამუშაო რეჟიმით.

საზოგადოებრივი საპირფარეშო იფუნქციონირებს ნაღდ ანგარიშსწორებაზე, ან/და სპეციალურ ბარათებზე (მაგ. „მეტრომანი"). საზოგადოებრივი რეტერატის გარე ფასადი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჩაშენებული ბანკომატის, გადახდის აპარატის ან სხვა აპარატურის დასამონტაჟებლად", – ნათქვამია განცხადებაში.

ხეხილის ესპანური ჯიშები ჯიღაურას ბაზას გადასცეს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ჯიღაურას საკოლექციო-სადემონსტრაციო ბაზას ხეხილის 40-ზე მეტი პერსპექტიული, ესპანური ჯიში გადაეცა. სამეცნიერო-კვლევით ცენტრსა და ესპანურ კომპანიას „ვივეროს პროვედო" შორის არსებული ურთიერთანამშრომლობის ფარგლებში, ჯიღაურას ბაზას მსხლის, გარგარის, ატმის, ნუშის, ბლის და ქლიავის ნერგები გადაეცა.

აღნიშნული ჯიშების ბიოლოგიურ-სამეურნეო თვისებების შესწავლა საერთაშორისოდ აღიარებული ჯიშთა შესწავლის მეთოდიკებისა და პროტოკოლების მიხედვით განხორციელდება. კვლევების შედეგად ადგილობრივი მეხილე ფერმერები ინფორმაციას მიიღებენ ახალი კონკურენტუნარიანი ჯიშების თავისებურებებისა და უპირატესობების შესახებ.

მიკრობიზნესი პენიტენციურ დაწესებულებაში

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ინიციატივით და ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ხელშეწყობით, მსჯავრდებულების ინდივიდუალურ საქმიანობას პენიტენციური დაწესებულების ტერიტორიაზე მიკრობიზნესის სტატუსი მიენიჭა. ამ სტატუსით შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლებმა №5, №7, №8, №15, №16 და №17 პენიტენციურ დაწესებულებებში 26 მსჯავრდებული დაარეგისტრირეს. გასულ წელს პირველ ეტაპზე კი, მიკრობიზნესის სტატუსით 40-მდე მსჯავრდებულის საქმიანობა დარეგისტრირდა.

როგორც უწყებიდან „ჯიეიჩ-ენს" აცნობეს, მიკრობიზნესის სტატუსის მინიჭების შემდეგ, მსჯავრდებულთა მიერ პენიტენციურ დაწესებულებაში ინდივიდუალური საქმიანობის შედეგად დამზადებული ხელნაკეთი ნივთები სპეციალური ონლაინმაღაზიის online.moc.gov.ge-ის მეშვეობით იყიდება. რეალიზაციიდან მიღებული თანხა კი, მსჯავრდებულთა ანგარიშზე ირიცხება. მიკრობიზნესის სტატუსი მათთვის დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმს უზრუნველყოფს და საშემოსავლო გადასახადისგან ათავისუფლებს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსის მოადგილის გიორგი ციბაძის განცხადებით, აღნიშნული უპრეცედენტო ინიციატივა ხელს უწყობს მსჯავრდებულებს სასჯელის მოხდის პერიოდში ჰქონდეთ შემოსავალი და ასევე, გათავისუფლების შემდეგაც გამოიყენონ პენიტენციურ დაწესებულებაში მიღებული ცოდნა და განაგრძონ იგივე საქმიანობა.

„სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის კახა კახიშვილის ინიციატივით, 2016 წელს უპრეცედენტო პროექტი განხორციელდა, რომლის ფარგლებში პატიმრებს საშუალება მიეცათ ნივთები, რომელსაც ამზადებენ პენიტენციურ დაწესებულებებში ონლაინმაღაზიის, სპეციალური ვებ.გვერდის საშუალებით გაყიდონ და მიიღონ გარკვეული შემოსავალი. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივაა მათი რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის კუთხით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ამ მსჯავრდებულების საქმიანობას მიკრობიზნესის სტატუსი ენიჭება. სამინისტრო მომავალშიც შეუწყობს ხელს თავის ბენეფიციარებს, პატიმრობის პერიოდში ჰქონდეთ გარკვეული შემოსავლის მიღების შესაძლებლობა", – განაცხადა გიორგი ციბაძემ.

შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის მადინა მაყაშვილის თქმით, მიკრობიზნესის სტატუსით განსაზღვრული შეღავათებით მსჯავრდებულები გათავისუფლების შემდეგაც ისარგებლებენ.

მსჯავრდებულები პენიტენციურ დაწესებულებებში სამკაულებს, თექის ნაწარმს, ხის ნაკეთობებს და სხვადასხვა სახის ნივთებს ამზადებენ, ასევე, წერენ და ქარგავენ ხატებს.

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



აი კიდევ ერთი ისტორია. ხდება შეუწყნარებელი რამ — მარშალი გოლოვანოვი... აგვიანებს თათბირზე სტალინთან. მოსკოვში ჩამოფრინდა დაგვიანებით. რა მოხდა? თურმე, გოლოვანოვის პირადი თვითმფრინავის მფრინავი, გვარად ვაგაპოვი წინა დღით თავისი ამხანაგის ქორწილზე წავიდა. რაც შემდეგ მოხდა, გასაგებია — დათვრა. მფრინავი ვაგაპოვი მხოლოდ დილით იპოვეს. სხვა თვითმფრინავის გაშვება ვერ გადაწყვიტეს — ეკიპაჟმა ხომ არ იცოდა აეროდრომი, სადაც დაჯდომა უნდა განახორციელოს. ასე მოახსენა მეთაურს შორეული მოქმედების ავიაციის უფროსმა. წარმოიდგინეთ თავი გოლოვანოვის ადგილზე — დაიგვიანოს სტალინთან მოხსენებაზე! პირველად მთელი ომის პერიოდში.

ჩემი გამოჩენის დროს სტალინმა, როგორც ჩვეულებრივად, შეხედა კუთხეში მდგარ საათს, ამოიღო თავისი საათი და მიჩვენა მე, შემეკითხა მხოლოდ ერთ რამეს:

— რა მოხდა?

ეტყობა, იცოდა რა ჩემი სიზუსტე და პუნქტუალობა ყველა საქმეში, თავადაც გაოცებული იყო ჩემი დაგვიანებით, მიაჩნდა, რომ მოხდა რაღაც არაჩვეულებრივი. მე მას მოკლედ მოვახსენე მომხდარის შესახებ, რომ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, როგორ რეაგირებას მოახდენდა ის ამაზე... უმაღლესმა ცოტა გაიარ-გამოიარა და შემეკითხა:

— რის გაკეთებას ფიქრობთ თქვენს შეფ-მფრინავთან დაკავშირებით?

ასეთ შეკითხვას, პირდაპირ რომ ვთქვა, არ ველოდი. მოვახსენე ჩემს მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და ამასთან დაკავშირებით ჩემს მიღებულ მითითებებზე (მისი გადაწყვეტილება იყო — მოიხსნას თანამდებობიდან და დაისაჯოს).

— მასთან ერთად დიდი ხანია, დაფრინავთ?

— ხალხინ-გოლიდან, ამხანაგო სტალინ, — ვუპასუხე.

— და ხშირად გიკეთებთ ასეთ რამეს?

— საქმეც ისაა, ამხანაგო სტალინ, ერთობლივი მუშაობის მთელი წლების განმავლობაში ეს პირველი შემთხვევაა. მე არც კი მიფიქრია როდისმე, რომ მას ასეთი რამე მოუვიდოდა.

— თქვენ მას უკვე ელაპარაკეთ?

— არა, ამხანაგო სტალინ, არ მილაპარაკია. რა ლაპარაკის შესახებ შეიძლება აქ საუბარი?!

ი. ა. ბენედიქტოვი

— ხომ არ აჩქარებულხართ თქვენს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით? ასე თუ ისე, პირველ ომში არ ხართ ერთად...

სტალინის ნათქვამმა საგონებელში ჩამაგდო. ცოტა ფიქრის შემდეგ ვუპასუხე:

— ეს სწორია, ამხანაგო სტალინ, თუმცა წესი წესია და არავის აქვს უფლება, დაარღვიოს იგი, და მით უმეტეს ისე, როგორც ეს ვაგაპოვმა გააკეთა. სასჯელიც არა აქვს მას დიდი მისი საქციელის გათვალისწინებით.

— რას იზამ, თქვენ უკეთესად იცით, — დაასკვნა უმაღლესმა და გადავიდა საკითხებზე, რისთვისაც მე ვიყავი გამოძახებული.

თუმცა საქმე ამით არ დამთავრებულა, დროდადრო სტალინი მეკითხებოდა, სად არის ახლა ვაგაპოვი, რომელიც რამდენიმე თვის შემდეგ დაბრუნებული იქნა თავის ძველ თანამდებობაზე...

უბრალოდ თქვით, რა საქმე ჰქონდა უმაღლეს მთავარსარდალ სტალინს მფრინავ ვაგაპოვთან დაკავშირებით? ხომ კითხულობდა, მსუბუქად, დაუძალებლად და დაეხმარა გოლოვანოვს, მიეღო სწორი გადაწყვეტილება. და მარშალ გოლოვანოვმაც ხომ თავისი მემუარები გამოსცა უკვე ბრეჟნევის დროს, როდესაც სტალინის ქებას და მონაგონების შეთხზვას არავითარი რეზონი აღარ ჰქონდა. სხვათა შორის, მარშლის წიგნი მის სიცოცხლეში მაინც არ გამოსულა — გამოქვეყნდა მხოლოდ რამდენიმე თავი ჟურნალში. რატომ? იმიტომ, რომ მას „სადაც საჭირო“ იყო, კარნახობდნენ, რომ არ შეეძლო სტალინს, ასე ელაპარაკა. და ეუბნებოდნენ ამას ადამიანს, ვინც ყველაფერი თავისი ყურით მოისმინა! იმას, ვინც მთელი ომის განმავლობაში ემორჩილებოდა პირადად სტალინს და მუშაობდა მასთან ხელიხელ ჩაკიდებული...

აი, რას გვიამბობდა ივან ალექსანდრეს ძე ბენედიქტოვი, რომელსაც თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ეკავა საკვანძო პოსტები ქვეყნის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში. 1941 წლის საშინელ ზაფხულს ის ხელმძღვანელობდა ტექნიკისა და სურსათის ევაკუაციას. ეს მოხდა 1937 წელს, დილით, როდესაც კაბინეტში შევიდა, ბენედიქტომა მაგიდაზე აღმოაჩინა ცნობა — სასწრაფო გამოძახება შინსახკომში. მივიდა. ინტელიგენტური, შესახედავად სიმპათიური გამომძიებელი ზრდილობიანად მიესალმა მას და შესთავაზა, დამჯდარიყო.

— რას იტყოდით სახკომის თანამშრომლებზე პეტროვსა და გრიგორიევზე?

— საუცხოო სპეციალისტები და პატიოსნები არიან, პარტიის, ამხანაგ სტალინის ერთგული კომუნისტები, — დაუფიქრებლად უპასუხა ბენედიქტოვმა. საქმე ხომ მის ორ ყველაზე მახლობელ მეგობარს ეხებოდა, ვისთანაც, როგორც ამბობენ, რამდენიმე ფუთი მარილი ჰქონდა ნაჭამი. აქ გამომძიებელმა შესთავაზა, გაცნობოდა დოკუმენტს. ქაღალდის რამდენიმე ფურცელზე — განცხადება სახალხო კომიტეტში ი.ა. ბენედიქტოვის **„მავნებლური საქმიანობის შესახებ, რასაც ის ეწეოდა რამდენიმე წლის განმავლობაში გერმანიის დაზვერვის დავალებით“**. ხელმოწერები იმავე „მეგობრებისა“ — პეტროვისა და გრიგორიევისა. დოკუმენტში აღწერილ ფაქტებს მართლა ჰქონდა ადგილი: გერმანიაში ჩვენი პირობებისათვის შეუსაბამო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენა, მცდარი განკარგულებები და დირექტივები, ადგილებიდან სამართლიანი საჩივრების უგულებელყოფა. ცალკეული გამონათქვამებიც კი, რომლებიც ხუმრობით იყო ხოლმე ნათქვამი ვიწრო წრეში. და აი, ახლა ეს ყველაფერი გაფორმებული იყო განცხადების სახით და იმ ადამიანების ხელმოწერით, რომლებსაც ბენედიქტოვი ყველაზე ახლო მეგობრად მიიჩნევდა, ვისაც ენდობოდა მთლიანად!

— რას იტყოდით ამ განცხადებასთან დაკავშირებით? — შეეკითხა გამომძიებელი.

— აქ გადმოცემულ ყველა ფაქტს ჰქონდა ადგილი, შეგიძლიათ, არც შეამოწმოთ, — უპასუხა ბენედიქტოვმა, — მაგრამ ეს შეცდომები მე დავუშვი უცოდინრობის, გამოცდილების უქონლობის გამო. ვეწეოდი რისკს საქმის ინტერესებისათვის, ვკისრულობდი პასუხისმგებლობას იქ, სადაც სხვები არჩევდნენ მსხდარიყვნენ გულხელდაკრეფილები. მტკიცება შეგნებულ მავნებლობაზე, გერმანიის დაზვერვასთან კავშირზე — ვეღური სიცრუეა.

— თქვენ პეტროვი და გრიგორიევი კვლავ პატიოსან კომუნისტებად მიგაჩნიათ?

— დიახ, მიმაჩნია და ვერ გამიგია, რამ აიძულა ისინი, ხელი მოეწერათ ამ სიცრუისათვის...

— ეს კარგია, რომ არ ძირავთ თქვენს მეგობრებს, — მითხრა გამომძიებელმა მცირეოდენი დუმილის შემდეგ. — ასე, სამწუხაროდ, ყველა როდი იქცევა. დამეთანხმეთ, ჩვენ, ჩეკისტები უბრალოდ ვალდებული ვართ, ყოველივე ამაზე მოვახდინოთ რეაგირება. კიდევ ერთხელ დაფიქრდით, ყველაფერი პატიოსნად გვითხარით.

ამის შემდეგ ამხანაგი ბენედიქტოვი სახლში წავიდა. მეუღლის ცრემლები, არეული გრძნობები. შემდეგ კი ზარი, სამუშაო კაბინეტში რომ გაისმა, — მეორე დღის დილით პარტიის ცენტრალურ კომიტეტში იწვევდნენ. „ყველაფერი ცხადია, — გაიფიქრა ბენედიქტოვმა, — გამრიცხავენ პარტიიდან, შემდეგ სასამართლო“. ცოლი მთელი ღამე ტიროდა. დილით კი შეკრა მისთვის მცირეოდენი ბარგი, რითაც მთხრობელი ცენტრალური კომიტეტის შენობისკენ გაემგზავრა ძველ მოედანზე.

და აი, სხდომა. ბენედიქტოვი პროსტაციაშია, ელოდება, როდის დაასახელებენ მის გვარს და დაიწყებენ მის გმობას. როგორც იქნა, დაასახელეს გვარი... სტალინი, რომელიც, ბენედიქტოვის გასაოცრად, აყენებს წინადადებას — დაინიშნოს ის სოფლის მეურნეობის სახალხო კომისრად. არავინაა წინააღმდეგი.

„რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ყველა წავიდ-წამოვიდა, ჩემთან მოვიდა ვოროშილოვი: „ივან ალექსანდრეს ძევ, თქვენ თავისთან ამხანაგი სტალინი გთხოვთ“.

ვრცელ ოთახში შენიშნა პორტრეტებით კარგად ნაცნობი პოლიტბიუროს წევრების მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ანდრეევის სახეები.

— აი, ჩვენი ახალი სახალხო კომისარიც, — თქვა სტალინმა, როდესაც მე მასთან მივედი. — როგორაა საქმე, თანახმა ხართ მიღებული გადაწყვეტილებისა თუ წინააღმდეგი?

— არის, ამხანაგო სტალინ, და მთელი სამი მიზეზი მაქვს.

— აბა, გვითხარით!

— ჯერ ერთი, მე ძალიან ახალგაზრდა ვარ, მეორეც, ცოტას ვმუშაობ ახალ თანამდებობაზე — გამოცდილება, ცოდნა არ მყოფნის.

— ახალგაზრდობა — ნაკლოვანებაა, რომელიც გადის. ცუდია მხოლოდ, რომ მალე. ჩვენც არ გვაწყენდა ეს ნაკლოვანება, თანაც ბევრი. რას იტყვი, მოლოტოვ?

მან გაურკვევლად ჩაახველა, აუბრჭყვიალდა პენსნეს მინები.

— გამოცდილება და ცოდნა — ცხოვრებაში მოდის, — გააგრძელა სტალინმა, — სწავლის სურვილი იყო და, თქვენ კი, როგორც მეუბნებოდნენ, იგი საკმაოდ გყოფნით. სხვათა შორის, ნუ გაამაყდებით — ჩვენგან თქვენ ბევრ კოპს მიიღებთ. განეწყვეთ იმისთვის, რომ სირთულეები იქნება, სახალხო კომისარიატი მიშვებულია. მესამე?

აქ მე ვუამბე სტალინს შინსახკომში გამოძახების შესახებ. მან წარბები შეკრა, გაჩუმდა, შემდეგ კი დაკვირვებით ჩამხედა თვალებში და თქვა:

— გვიპასუხეთ პატიოსნად, როგორც კომუნისტებმა, არის რაიმე საფუძველი ყველა ამ ბრალდებისათვის?

— არანაირი, გარდა ჩემი გამოუცდელობისა და უუნარობისა.

— კეთილი, წაბრძანდით, იმუშავეთ. ჩვენ კი ამ საქმეში გავერკვევით (ი. ბენედიქტოვი. „სტალინისა და ხრუშჩოვის შესახებ“).

ქუხილმა გვერდით ჩაიარა. აი, ამასთან დაკავშირებით მოგვიანებით რა თქვა თავად ბენედიქტოვმა:

„მრავალი წლის მუშაობის პერიოდში არაერთგზის დავრწმუნებულვარ, რომ მისთვის ფორმალური ცნობები და პირადი ამბიციები ბევრს არაფერს ნიშნავდა. სტალინი, ჩვეულებრივად, საქმის ინტერესებიდან გამოდიოდა, და, თუ საჭირო იყო, არ ერიდებოდა შეეცვალა უკვე მიღებული გადაწყვეტილებები, სულაც არ ზრუნავდა იმისთვის, თუ რას ამბობენ ან ფიქრობენ ამაზე. მე, უბრალოდ, ძალიან გამიმართლა, რომ საქმე ჩემი რაღაც „მავნებლობაზე“ მისი პირადი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდა. იმ საკითხებში, რომლებიც შეეხებოდა მავნებლობაში ბრალდებულთა ბედისწერას, სტალინი მაშინდელ პოლიტბიუროში ლიბერალური იყო. როგორც წესი, ის ბრალდებულთა მხარეზე დგებოდა და ცდილობდა მათ გამართლებას, თუმცა, რასაკვირველია, იყო გამონაკლისებიც. ყოველივე ამის შესახებ ძალიან კარგად დაწერა თავის მემუარებში პარტიის სტალინგრადის საოლქო კომიტეტის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჩუიანოვმა. მეც რამდენჯერმე ვყოფილვარ მოწმე სტალინის შეტაკებისა კაგანოვიჩთან და ანდრეევთან, რომლებიც ამ საქმეში „ქორეებად“ ითვლებოდნენ. სტალინის რეპლიკების აზრი გულისხმობდა , რომ ხალხის მტრებთანაც კი უნდა იბრძოლო კანონიერების ნიადაგზე. პოლიტბიუროში ჩემი საქმით სხვა ვინმე რომ დაინტერესებულიყო, შურიანთა და არამზადათა ცილისწამებას აამოქმედებდნენ“.

სტალინი ლიბერალი — მოულოდნელია? ეს როდის იყო, რომ უცხოელებთან ნაცნობობისთვის იჭერდნენ? არის ამის სარწმუნო ფაქტებიც. სსრ კავშირის ელჩი დიდ ბრიტანეთში ივანე მაისკი ომის წლებში დიდ დახმარებას ღებულობდა ბრიტანეთის საზოგადოებრიობისაგან. უბრალო ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ ჩაბმული თავისი ქვეყნის პოლიტიკის მზაკვრობაში, ცდილობდნენ, დახმარებოდნენ, რითაც შეეძლოთ. ადამიანებს შორის იყვნენ ცოლ-ქმარი გრივერები. მეტად საინტერესოა მათი ისტორია. და ეს ისტორია აბსოლუტურად სარწმუნოა, ვინაიდან საბჭოთა ელჩი პირადად იცნობდა ამ ადამიანებს. ამ ოჯახის უფროსი — ინგლისელი მენავთობე ინჟინერი ბრაიან მონტეგიუ გროვერი — მეორე ხუთწლედის პერიოდში მუშაობდა გროზნოში ნავთობის სარეწებში ტექნიკური დახმარების წესით. და იქ შეუყვარდა საბჭოთა გოგონა, ადგილობრივი მეაფთიაქის ქალიშვილი. ინგლისელმა მასზე დაქორწინება მოინდომა. მაგრამ დამთავრდა მისი კონტრაქტი და ის ინგლისში დაბრუნდა. იქ ის ცდილობდა, დაევიწყებინა თავისი სიყვარული — არ გამოვიდა. მაშინ შეეცადა, მიეღო ნება უცხოეთში წასვლაზე თავისი საყვარელი ადამიანისათვის. არ გამოვიდა. სსრ კავშირში შემოსვლისთვისაც არ მისცეს ვიზები. რა უნდა ექნა? გროვერი გააკეთებს იმას, რასაც ორმოცდაათი წლის შემდეგ გააკეთებს მატიას რუსტი. ისწავლა თვითმფრინავის პილოტირება და 1938 წლის ნოემბერში არალეგალურად, სტოკჰოლმის გავლით, ჩამოფრინდა სსრ კავშირში, რომ ადგილზე შეძლებოდა, ეთხოვა საყვარელი ქალი და წაეყვანა ის თან.

ბრაიან გროვერი მეუღლესთან ერთად

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82

ჩადენილ ბოროტებას ბოდიშით ვერ გამოისყიდით, ბატონო აგრამუნტ!..

საქართველო და რუსეთის ზეგავლენა საერთაშორისო სტრუქტურებში

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ბოდიში მოიხადა რუს დეპუტატებთან ერთად სირიაში ჩასვლის გამო, თუმცა ასამბლეის პოლიტიკური ჯგუფებისა და დეპუტატების უმრავლესობა ბოდიშს არასაკმარისად მიიჩნევს. ისინი პედრო აგრამუნტს პოსტის დატოვებისკენ მოუწოდებენ და 25 აპრილს სადისკუსიო პალატაში, დახურულ კარს მიღმა, საგანგებო მოსმენაც შედგა. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის სირიაში ვიზიტი აღიქმება მხარდაჭერად პრეზიდენტ ბაშარ ალ ასადის რუსეთის მიერ წახალისებული რეჟიმისა, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა მშვიდობიანი სირიელების დახოცვაში ადანაშაულებს. ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ აგრამუნტთან დაკავშირებულმა სკანდალმა კიდევ ერთხელ გამოავლინა პუტინის რუსეთის ძლიერი პოლიტიკური ზეგავლენა საერთაშორისო სტრუქტურებში, რაც აფერხებს პროცესების სამართლიან განვითარებას, მათ შორის — საქართველოს ინტერესების თვალსაზრისით.

პედრო აგრამუნტის მიერ შეცდომების აღიარება და სინანული ხელოვნური და არადამაჯერებელია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატთა უმრავლესობისთვის და ეს 25 აპრილს გამართულ საგანგებო მოსმენაზეც გამოჩნდა. ისევე, როგორც 24 აპრილს, საგაზაფხულო სესიის სხდომაზე, 25 აპრილის შეხვედრის ფარგლებშიც, გავრცელებული ინფორმაციით, ძალიან ბევრმა დეპუტატმა მოითხოვა ასამბლეის პრეზიდენტის, პედრო აგრამუნტის, გადადგომა, როგორც ლოგიკური შედეგი ევროსაბჭოს ავტორიტეტის შელახვის კვალდაკვალ. თუმცა იმის გამო, რომ იმპიჩმენტის პროცედურა ხელმიუწვდომელია, გადადგომა-არგადადგომის საკითხი თავად პედრო აგრამუნტის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული და ის ამას ჯერჯერობით არ აპირებს. წინასწარი ინფორმაციით, საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ განცხადებას ის პარასკევს, 28 აპრილს, გააკეთებს.

სამშაბათს სტრასბურგში, დახურულ კარს მიღმა გამართული საგანგებო მოსმენის ფარგლებში, პედრო აგრამუნტი კიდევ ერთხელ შეეცადა, დაერწმუნებინა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატები, რომ გააზრებული აქვს თავისი შეცდომა და 20 მარტს ის სირიაში არ უნდა ჩასულიყო. თუმცა იქვე აგრამუნტი განმარტავდა, რომ სირიაში ის ჩასული იყო არა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის რანგში, არამედ ესპანელი სენატორის რანგში და ეს ერთი და იგივე არ არის.

თუმცა აგრამუნტის თავის მართლებას საფუძველს აცლის რუსულენოვანი მედიის არქივში მოპოვებული ინფორმაცია. მარტის ბოლოს, როცა რუსეთის ტელეარხები რუსი დეპუტატებისა და ევროპელი დეპუტატების სირიაში ვიზიტს აშუქებდნენ, ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გაერთიანებულ დელეგაციას ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი პედრო აგრამუნტი, ხელმძღვანელობდა. ამ ფაქტზე ამაყად ლაპარაკობდა, რუსეთის დუმის საერთაშორისო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ლეონიდ სლუცკი, რომელიც იმ დროს თავადაც სირიაში იმყოფებოდა. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლიდან, რაც ყირიმის ანექსიის გამო ხმის უფლება შეუჩერეს, რუსეთი პრაქტიკულად გამოეთიშა ევროსაბჭოს მუშაობას, სლუცკის თქმით, მოსკოვის პოლიტიკა მაინც იმარჯვებს:

„რუსეთი არ წასულა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეიდან და ამის საუკეთესო დასტურია ის ფაქტი, რომ დღეს სირიაში ჩვენთან ერთად იმყოფება საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე... ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში, ალბათ, ნელ-ნელა მკვიდრდება საღი აზრი რუსეთთან მიმართებით, ევროპაში რუსეთის როლთან მიმართებით და აქ, სირიაში, საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში რუსეთის როლთან მიმართებით. სწორედ ამიტომ არიან ჩვენი კოლეგები აქ“.

პედრო აგრამუნტის სირიაში ჩასვლის ფაქტს გმობს საქართველოს საპარლამენტო დელეგაციაც. უმრავლესობის წარმომადგენელმა, დეპუტატმა **ზვიად კვაჭანტირაძემ** გაიხსენა დრო, როცა ის პედრო აგრამუნტის საქმიანობით უკმაყოფილო უმცირესობას წარმოადგენდა:

„ჯერ კიდევ წელიწად-ნახევრის წინ ვიყავი ერთადერთი ადამიანი, ვინც გააპროტესტა აგრამუნტის არჩევა ასამბლეის პრეზიდენტად და მაშინ ძალიან ბევრი აბსოლუტურად უსამართლო კრიტიკა დავიმსახურე და დღეს აღმოჩნდა, რომ ჩემი წელიწად-ნახევრის წინ გამოთქმული შეშფოთება ნამდვილად იყო საფუძვლიანი და ამ პრობლემას დღეს შეეჯახა მთლიანად ასამბლეა“.

პედრო აგრამუნტის მისამართით უკმაყოფილებას „ქართული ოცნების“ სხვა წარმომადგენლებიც გამოხატავდნენ ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ის 2016 წლის იანვარში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პოსტს დაიკავებდა. მათ უკმაყოფილებას იწვევდა „ნაციონალური მოძრაობის“ პარტნიორი პოლიტიკური ძალის, ევროპის სახალხო პარტიის (EPP) ჯგუფის ლიდერის, პედრო აგრამუნტის, კრიტიკული გამოსვლები და ანგარიშები. ერთ-ერთი ასეთი ანგარიში საფუძვლად დაედო, მაგალითად, 2015 წლის 1 ოქტომბერს დამტკიცებულ რეზოლუციას „წინასწარი პატიმრობის ბოროტად გამოყენება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მონაწილე ქვეყნებში“.

ისევე როგორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დეპუტატებისთვის, ანალიტიკოსებისთვისაც ნათელია, რომ პედრო აგრამუნტმა სირიაში ვიზიტით ასადის რეჟიმისა და, შესაბამისად, სირიის საკითხში დასავლეთთან დაპირისპირებული რუსეთის წისქვილზე მიუშვა წყალი. ასე ფიქრობს პოლიტოლოგი **ხათუნა ლაგაზიძეც**. მას არაფერი გაუკვირდა, თუმცა რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას ანალიტიკოსი აგრამუნტის სკანდალს პუტინის რუსეთის ზეგავლენის საგანგაშო გამოვლინებად ასახელებს:

„ზოგადად ის, რომ რუსულ პოლიტიკას, პუტინის პოლიტიკას ჰქონდა უზარმაზარი გავლენა ევროპის ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ ლიდერებზე და პოლიტიკურ მიმდინარეობებზე, ამაში ახალი არაფერი არ იყო. უბრალოდ, ჩვენ ვნახეთ ახლა რამდენად ღრმად ყოფილა ფესვგამდგარი პუტინის გავლენები ისეთ უმაღლეს სტრუქტურებში, რომლებსაც ამ შემთხვევაში აგრამუნტი ხელმძღვანელობს... ამაში ყველა ხერხია ჩართული — არ გამორიცხოთ კომპრომატები, აქ შეიძლება არ იყოს საუბარი მარტო მოსყიდვაზე“.

ხათუნა ლაგაზიძე დარწმუნებულია, რომ პუტინის რუსეთის ზეგავლენა ძლიერ ბარიერებს ქმნის საქართველოს სასიცოცხლო ინტერესების ჭრილში — იქნება ეს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი თუ ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებები. თუმცა, ანალიტიკოსის თქმით, საქართველოს საერთაშორისო ასპარეზზე ძალიან ბევრი მეგობარი ჰყავს და ქვეყანამ საკუთარი მიზნების ლობირებისთვის სწორედ ისეთ პარტნიორებთან უნდა გააქტიუროს მუშაობა, რომლებსაც კარგად აქვთ გააზრებული პუტინის რუსეთისგან მომავალი საფრთხეები.

ლელა კუნჭულია

პაპის ინიციატივა — რომში ღარიბებისთვის სამრეცხაო გაიხსნა

რომის პაპის ინიციატივით რომში ძველი საავადმყოფოს კომპლექსში ღარიბებისა და უსახლკაროებისთვის სამრეცხაო გაიხსნა. „ლავანედრია დი პაპა ფრანჩესკოს“ სამრეცხაოში მისულებს ჰიგიენური პროცედურისთვის ხურდა ფულის გადახდა არ მოუწევთ. მათ ასევე უფასოდ შეეძლებათ სარეცხი საშუალებების გამოყენება. სამრეცხაო კვირაში 4 დღე იმუშავებს.

ინციდენტი სპარსეთის ყურეში

ტელეკომპანია „ფოქს ნიუსის“ ცნობით, ამერიკული ავიამზიდი იძულებული გახდა, კურსი შეეცვალა. ამის მიზეზი კი ირანული კატერი გახდა, რომელმაც ამერიკულ სამხედრო გემს გზა გადაუღობა. შეჯახების თავიდან ასაცილებლად ავიამზიდმა მიმართულება შეიცვალა. ამერიკული მხარე ირანს სპარსეთის ყურეში ხელოვნური წინაღობების შექმნაში მუდმივად ადანაშაულებს, თეირანი კი ვაშინგტონს სპარსეთის ყურიდან საზღვაო ძალების გაყვანისკენ მოუწოდებს.

მედვედევის გადადგომის მომხრეთა რიცხვი გაიზარდა

დიმიტრი მედვედევის გადადგომა რუსეთის მოსახლეობის ნახევარს სურს. სოციოლოგიური კვლევის შედეგებს „ლევადა ცენტრი“ აქვეყნებს. გამოკითხვის შედეგებით, რესპონდენტთა 45 პროცენტი დიმიტრი მედვედევის გადადგომას უჭერს მხარს. მედვედევის მომხრეთა რაოდენობა კი 33 პროცენტს არ აღემატება. რუსეთის პრემიერის რეიტინგი განსაკუთრებით მას შემდეგ დაეცა, რაც ალექსეი ნავალნის ფონდმა მედვედევის მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების ნუსხა გამოაქვეყნა და პრემიერი კორუფციაში დააადანაშაულა.

თურქეთში ერთ ღამეში 1009 ადამიანი დააკავეს

გვიან ღამიდან გუშინ გამთენიამდე თურქმა სამართალდამცავებმა ქვეყნის 81 პროვინციიდან 72 ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად 1009 ადამიანი დააკავეს. მათი უმრავლესობა პოლიციის თანამშრომელია. დაკავებულებს ბრალად ედებათ გულენის მოკავშირეობა და 2016 წლის ივლისში არშემდგარ სახელმწიფო გადატრიალებაში მონაწილეობა. დაკავების სპეცოპერაციაში 8000 მეტი პოლიციელი მონაწილეობდა. პროკურატურას 4900 ადამინის დაკავებაზე აქვს სანქცია გაცემული.

ბრაზილიაში ინდიელთა აქცია დაშალეს

ადგილობრივმა ინდიელებმა მიწების დემარკაციის შესახებ მიღებული კანონპროექტი გააპროტესტეს. აქცია პოლიციასთან შეტაკებით დასრულდა. დემონსტრანტებმა სამართალდამცველებს შუბები და ისრები ესროლეს, პოლიციამ კი მათ დასაშლელად რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზები გამოიყენა.

ტრამპის განკარგულება კიდევ ერთხელ დაბლოკეს

სან-ფრანცისკოს სასამართლომ თეთრი სახლის ლიდერის გადაწყვეტილება ე.წ. ქალაქი-თავშესაფრებისთვის დაფინანსების მოხსნის შესახებ არაკონსტიტუციურად ცნო. ქალაქი-თავშესაფრები შეერთებული შტატების ტერიტორიაზე გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან არსებობს. ქალაქების მუნიციპალიტეტები ადგილობრივ მცხოვრებთა საიმიგრაციო სტატუსზე ფედერალურ ხელისუფლებას ინფორმაციას არ აწვდიან. ქალაქებში ათასობით არალეგალი იმიგრანტი ცხოვრობს.

◎ რომელი სჯობს?

მეტროს მსგავსად შესაძლოა, ავტობუსების გაჩერებების გამოცხადებაც დაიწყოს

საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი, სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე **ლია ჯახველაძე** ამბობს, რომ აჯობებდა, გაჩერებების დასახელება უფრო ადრეც გამოცხადებულიყო, თუმცა ძველი ავტობუსების ტექნიკური მდგომარეობა ამ შესაძლებლობას არ იძლეოდა. ლურჯ ავტობუსებს კი აუდიოსისტემის სერვისი აქვთ და ამ სიახლის დანერგვა, ევროპული ქალაქების მსგავსად, თბილისშიც შესაძლებელია.

თუმცა სამუშაოს სრულად განხორციელებას ამ ეტაპზე ხელს უშლის თავად კონკრეტული გაჩერებების სახელდებების დადგენა. ეს შრომატევადი სამუშაოა და ეტაპობრივად ხდება ყველა დასახელების შეჯერება.

„ორი ათასზე მეტი გაჩერებაა თბილისის სხვადასხვა მარშრუტზე, ზოგან კი გვხვდება გაჩერებების გადაკვეთა. ამიტომ რომელ მარშრუტზეც ლურჯი ავტობუსი გაივლის, ეტაპობრივად მივყვებით და გაჩერებების აუდიოგამოცხადებას უზრუნველვყოფთ ისე, როგორც ეს მეტროპოლიტენშია ორივე ენაზე, ანუ ქართულად და ინგლისურად. ეს მისაღები იქნება ქართველებისთვისაც და ტურისტებისთვისაც. ამით გაუადვილდებათ სასურველი ტერიტორიის მიგნება. ეს იქნება დამატებითი სერვისი ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. თუმცა სახელდებების დარქმევას როდის დავასრულებთ, ვერ გეტყვით. ამას მუშაობა სჭირდება. ჯერ ტექნიკური მხარეა გასავლელი, რომ ყველა გაჩერების სახელდება მოხდეს“. ეს სისტემა ბევრ ევროპულ ქალაქშია აპრობირებული. მისი დადებითი მახასიათებელი ისიცაა, რომ შეზღუდული შესაძლებობის მქონე პირებისთვისაც მოსახერხებელია, როცა ესმით გაჩერებების დასახელება. **ამდენად, ამ სისტემის უპირატესობას მალე გამოცდიან დედაქალაქში ჩამოსული საქართველოს მოქალაქეებიც და უცხოელებიც. მით უმეტეს, საქართველოში ტურისტების ბუმია“.**

საკრებულოს უმცირესობის წევრი **სევდია უგრეხელიძე** აცხადებს, რომ, თუ ეს სიახლე ავტობუსების მომსახურების სერვისს ოდნავ მაინც გააუმჯობესებს, მისასალმებელი იქნება. მით უმეტეს, იმ ფონზე, როცა ყველაფერი ძვირდება, მათ შორის, ტრანსპორტიც.

სევდია უგრეხელიძის თქმით, თუკი სხვა უკეთესი საშუალება არ არის, შესაძლოა, მოხდეს კიდეც გაჩერებების აუდიოსაშუალებით გამოცხადება. თუმცა ეს მაინც მოძველებული მეთოდია, რადგან უცხოეთში ელექტრონულ ტაბლოზე გარბის სტრიქონი და სწორედ ტაბლოზე იწერება სადგურები. თანაც, ტაბლო ხმაურს არ იწვევს, გაჩერებების სახელდებების ხმამაღლა გამოცხადებას კი თავისი „პრონაუნსი“ აქვს და გამოთქმა შეიძლება კარგად ვერც გაიგოს უცხოელმა. როგორც წესი, დაწერილის გაგება უფრო მარტივია, ვიდრე ხმამაღლა ნათქვამის.

„ამ საკითხის კრიტიკას არ ვაპირებ. ეს არაფერია იმასთან შედარებით, რაც ჩვენ გავაკეთეთ. ფაქტობრივად, ეს იყო ნახტომი ტრანსპორტის სფეროში, რადგან გვახსოვს, თბილისში მხოლოდ კერძო სამარშრუტო ტაქსები მოძრაობდნენ და მაფიოზურად ნაწილდებოდა ან იყიდებოდა ხაზები. ეს ყველაფერი მოვაწესრიგეთ, მუნიციპალური ავტობუსები შემოვიყვანეთ, რომლებმაც კარგად იმუშავეს და კარგადაც გაძლეს. თუმცა 2014 წელს მე არ შემაძენინეს ავტობუსები. პირველ ჯერზე ასი ავტობუსი შემომყავდა, ორი ვარიანტი გვქონდა — პოლონური და ბალტიისპირული, რაც სამჯერ უფრო იაფი გვიჯდებოდა, ვიდრე ლურჯი ავტობუსები დაჯდა. თანაც, ლურჯი ავტობუსები, 2014 წლის ნაცვლად, 2017 წელს ძლივს შემოიყვანეს.

„გოლდენ დრაგონი“ ირაკლი შიხიაშვილის ახირება იყო, ვიღაცის კორუფციულ გარიგებებს ესადაგებოდა. შიხიაშვილს ვითომც ქარხანა უნდა აეშენებინა, სინამდვილეში, ჩინური ნაწილები უნდა შემოეტანათ და საქართველოში ჩინური ავტობუსები გამოეშვათ. რადიოქარხნის მთელი ტერიტორია ლამის მუქთად გადასცეს იმ ინვესტორს, მაგრამ კიდევ კარგი, ეს მაფიოზური გეგმა ჩაიშალა. აგერ უკვე 2017 წელია და ჯერ კიდევ სად არის ავტობუსების პარკი? მთელი პარკი გამოსაცვლელია“, — აღნიშნა სევდია უგრეხელიძემ.

მანვე განმარტა, რომ ავტობუსებში გაჩერებების გამოცხადება გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იქნება უცხოელებისთვის, თორემ ქართველები ისედაც ახერხებენ, მუნიციპალურ ტრანსპორტში ერთმანეთს ჰკითხონ სასურველი გაჩერების შესახებ.

ჩაიწერა
მანანა ნოზაძემ

◎ ჩვენ და გარემო

«მავნე» პარკები

გარემოს **დაბინძურებასთან ბრძოლა საქართველოში თანდათანობით სულ უფრო მეტად მასშტაბური ხდება. 20 აპრილიდან დედაქალაქში „სისუფთავის ინსპექტორთა“ ბრიგადების გამოჩენის შემდეგ, რომლებიც როგორც თბილისის ქაღალდის ნაგლეჯებისგან, სიგარეტის ნამწვავებისგან, მათი ცარიელი კოლოფებისგან და ათასნაირი სხვა საყოფაცხოვრებო ნაგვისგან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაცვაზე იზრუნებენ, არემარე აღარც ერთჯერადი თხელი ცელოფნის პარკებით დაბინძურდება. ეს ბოლო გარემოება კი მასშტაბით პირველზე გაცილებით დიდია და უფრო მეტადაც მნიშვნელოვანი, ვინაიდან ასეთი პარკებით ლამის ქვეყნის მთელი ტერიტორიაა დანაგვიანებული.**

ამიტომაც, მთავრობის დადგენილებით, 2017 წლის 1 სექტემბრიდან ქვეყანაში იკრძალება 10 მიკრონზე თხელი ერთჯერადი პარკების წარმოება და იმპორტი. შემდეგი ნაბიჯი იქნება 15 მიკრონზე თხელი, თუმცა კი შედარებით უფრო მკვრივი ერთჯერადი პოლიეთილენის პარკების წარმოებისა და იმპორტის აკრძალვა. ეს, საბოლოოდ აკრძალვაში მოაყოლებს ამჟამად ყველა სახეობის ბაზარზე ხმარებაში არსებულ ერთჯერად პარკებს, თუმცა კი ის არ გავრცელდება ბიოლოგიურად დაშლის უნარის მქონე პროდუქციაზე.

უნდა ითქვას, რომ ერთჯერადი მოხმარების პოლიეთილენის პარკების საქართველოში იმპორტის შემცირება ევროკავშირის მიერ გატარებული პოლიტიკის ერთგვარი გაგრძელებაა, რომლის მიზანია უახლოეს მომავალში თხელი პარკების მოხმარების შეზღუდვა. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში უკვე შემუშავებულია ევროკავშირის დირექტივების შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც უახლოეს მომავალში განსახილველად მთავრობას წარედგინება.

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მონაცემებით, ახალ ნორმატიულ აქტში ქვეყანაში ერთჯერადი მოხმარების თხელკედლიანი პოლიეთილენის პარკების მოხმარების ეტაპობრივი შემცირება და მათი ბიოდეგრადირებადი პარკებით ჩანაცვლებაა გათვალისწინებული. ამასთან, აღნიშნულია ისიც, რომ ბიოდეგრადირებადი მასალისგან დამზადებული მრავალჯერადი მოხმარების პარკები და ჩანთები, ასევე ქაღალდის პარკები, ევროკავშირის ქვეყნებში მიღებული სტანდარტების შესაბამისი იქნება.

სავსებით გასაგებია, რომ ეს მეტად მასშტაბური ღონისძიებაა, რომელიც დიდი მოცულობის შესაბამის მოსამზადებელ სამუშაოებსაც და არაერთი საანარმოს სერიოზულ აღჭურვას საჭიროებს. ამის გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ უკვე შეატყობინა თავისი გეგმების შესახებ პოლიეთილენის ერთჯერადი პარკების მწარმოებლებსა და სავაჭრო ორგანიზაციების წარმომადგენლებს. კერძოდ, აღინიშნა პოლიეთილენის პარკების უაღრესად მავნე ზემოქმედება გარემოზე, მათი დამნაგვიანებელი ეფექტი და ამ პრობლემების გადაჭრის ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება. ყოველივე ეს კი 2013 წლის ევროკომისიის დირექტივასა და 2014 წლის ევროპის პარლამენტის აქტშია ასახული, რომელთა შესაბამისად 50 მიკრონზე თხელი პოლიეთილენის პარკების წარმოება მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა განახევრდეს, 2019 წლის მიწურულისთვის კი უკვე 80 პროცენტით შემცირდეს.

ოთარ ტურაბელიძე

ოპერაცია „გარემოვაჭრე“: ნაწილი II

გრძელდება თბილისის ხალხმრავალი ადგილების ბოლო წლებში აუტანლად მომრავლებულ გარემოვაჭრეთაგან „განდევნის“ ერთგვარად „სანიტარიული“ პროცედურა, რომელსაც მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დიდი მოწონებით ხვდება.

ამ ჯერზე, 24 აპრილს გვიან ღამე, გარემოვაჭრეთა სახელდახელო დახლებისგან დედაქალაქის მერიის სპეციალური სამსახურის წარმომადგენლებმა და პოლიციის თანამშრომლებმა მეტროს სადგურ „ახმეტელის“ ზედა ვესტიბიულის მიმდებარე ტერიტორია გაათავისუფლეს.

ყოვლად უგვანო იმპროვიზებული „ბაზრობის“ მოვაჭრეებმა, რომელთა შორის უმრავლესობა ტანსაცმლითა და საყოფაცხოვრებო საქონლის გამყიდველი ბოშები იყვნენ, მერიის მუშაკთა და სამართალდამცველთა მოქმედებაზე აქტიური პროტესტი გამოთქვეს, თუმცა რამდენიმე ხმაურიანი შეხლა-შემოხლა ყოველგვარი სერიოზული დაპირისპირების გარეშე დასრულდა.

ამასთან, ისიც უნდა ითქვას, რომ მეტროს სადგურ „ახმეტელის“ მიმდებარედ ოთხი პატარ-პატარა ბაზარი მდებარეობს, სადაც, სურვილის შემთხვევაში, გუშინდელ „ველურ“ გარემოვაჭრეებს თავისუფლად შეუძლიათ გადაბარგება, თანაც მეტად შეღავათიანი პირობებით.

ნინო ალექსანდრია,
ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო

◎ ჭიდაობა

„ოქრო-ვერცხლის“ ბუკეტი პირენეიდან

ესპანეთის ქალაქ ელჩეში გამართულ თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა საერთშორისო ტურნირში შესანიშნავად იჭიდავა საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა (მწვრთნელები - გელა საღირაშვილი, ბელდუხ გავაშელიშვილი და თეიმურაზ მინდიაშვილი). ჩვენმა ბიჭებმა შვიდივე წონით კატეგორიაში პირველი ადგილები დაიკავეს, სამ წონაში კი სულაც ქართული ფინალები მოეწყო. ბუნებრივია, 7 ოქროსა და 3 ვერცხლის მედლით საერთო გუნდურ ჩათვლაში 70 ქულით პირველი ადგილი საქართველოს ნაკრებმა დაიკავა და 14 ქულით გაუსწრო უახლოეს მდევარ ესპანეთს, ხოლო 33 ქულით მესამე ადგილი პოლონელებს ერგოთ.



კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ რამაზ თურმანიძე (55 კგ), თეიმურაზ ვანიშვილი (60 კგ), ივერიკო ჯულაყიძე (66 კგ), მირზა სხულუხია (74 კგ), ნიკა კენჭაძე (84 კგ), გივი მაჭარაშვილი (97 კგ) და ზურიკო ურთაშვილი (125 კგ). ქართულ ფინალებში თურმანიძემ, ჯულაყიძემ და კენჭაძემ, შესაბამისად, თანაგუნდელები - გოგა ძიგუა, ედემი ბოლქვაძე და ზაურ ბერაძე დაამარცხეს. გადამწყვეტ პაექრობაში ვანიშვილმა ესპანელ კარლოს გარსიას აჯობა, სხულუხიამ - პოლონელ სებასტიან ბაკს, 23 წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონმა მაჭარაშვილმა და ურთაშვილმა კი ესპანელებს — ლოპეს ფერნანდესსა და დიეგო იგლესიას კუევასს ერთნაირი ანგარიშით - 10:0 მოუგეს.

გივი გაგუა

◎ ლეგიონერი

დიდ გუნდთან პატარა გუნდსა...

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბასკონიასათვის“ დაუძლეველი აღმოჩნდა საკალათბურთო ევროლიგის პირველი საპლეიოფო ბარიერი, სადაც ბასკურ კლუბს მრისხანე მეტოქე ჰყავდა გათამაშების ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტის — მოსკოვის ცსკა-ს სახით (0:3).

რეგულარულ სეზონში ესპანელებმა ორჯერ დააჩოქეს რუსული არმია, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მათ სამივე მეოთხედფინალურ შეხვედრაში მძაფრი წინააღმდეგობა გაუწიეს დიმიტრის იტუდისის გუნდს, მათ შორის ორჯერ — სტუმრად, თუმცა, ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ საბოლოოდ ყველაფერი ლოგიკურად დასრულდა.

განსაკუთრებით ახლოს მიზანთან ვიტორიელები სერიის მესამე მატჩში იყვნენ, რომელიც საკუთარ დარბაზში 88:90 დათმეს. საფინალო სასტვენამდე 2 წამით ადრე მასპინძლებმა ბურთი აუტიდან შემოიტანეს და სასროლ პოზიციაზე ლარკინი გაიყვანეს, მაგრამ მის სამქულიანს კურბანოვის აშკარად „ბინძური“ დაფარება მოჰყვა. წესით და რიგით, ამერიკელს სამი საჯარიმოს შესრულების უფლება უნდა მიეღო, მაგრამ მსაჯის სასტვენი დუმდა...

ჩვენთვის ყველაზე საინტერესოა თორნიკე შენგელიას მორიგი შთამბეჭდავი თამაში, რომელსაც პარტნიორთა შორის საუკეთესო პირადი მონაგარი ჰქონდა —19 ქულა, 7 მოხსნა.

„ფენერბახჩე“ — „პანათინაიკოსი“ 79:61 (3:0).

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ძირს მორალი!

უკვე მრავალი წელია, რაც აქტიურად საუბრობენ ქალი სპორტსმენების ამუნიციის მოუხერხებლობასა და უხარისხობაზე. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ე.წ. სპორტულ ბიუსჰალტერებზე, რომლებიც, ბევრი სპეციალისტის აზრით, ყველაფერია სპორტულის გარდა და არათუ იცავს ქალის მკერდს დაზიანებისგან, არამედ უარესი — თავადაა დაავადების (როგორც წესი — სიმსივნის) გამომწვევი.

მსოფლიოში მიმდინარე ერთგვარ ანტიბიუსჰალტერულ კამპანიას ომახიანად შეუერთდნენ რუსი მეჩოგნე ქალები. რამდენიმე მათგანმა საჯაროდ დაგმო ამ ტიპის ამუნიცია და პირობა დადო, რომ არც ვარჯიშზე და არც შეხვედრისას მათ მკერდს ბიუსჰალტერი არ გაეკარება და სხვებსაც მათი მიბაძვისკენ მოუწოდებენ.

რთული სათქმელია, ეს ყველაფერი როგორ აისახება ქალი სპორტსმენების მიერ ნაჩვენებ შედეგებზე, მაგრამ ის კი დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ უბიუსჰალტერო მეჩოგნე ასულები კორტებზე გულშემატკივრების დასწრებას ნამდვილად გაზრდიან. ოღონდ, რის ხარჯზე გაიზრდება მაყურებელთა რიცხვი — მაგას ნუ გვკითხავთ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ მოვლენის წინ

მსოფლიო თასი მოგზაურობას განაგრძობს

საქართველოში 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე თვეზე ოდნავ მეტი რჩება. ტურნირი 31 მაისიდან 18 ივნისამდე თბილისსა და ქუთაისში გაიმართება.

ფორუმის უმთავრესი ჯილდო, 20 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის თასი უკვე საქართველოშია და ტრადიციულად ასპარეზობის დაწყებამდე მასპინძელ ქვეყანაში მოგზაურობს. მისი ვოიაჟი 16 აპრილს შუხუთში ლელობურთით დაიწყო.

ამ დღეებში მსოფლიო რაგბის 20 წლამდელთა ჩემპიონატის თასი სვანეთს ეწვია. იგი ვეტერანმა „ბორჯღალოსნებმა“ ნონო ანდღულაძემ და ლექსო გუგავამ თავდაპირველად მესტიაში, ხოლო მოგვიანებით ევროპის ყველაზე მაღალ დასახლებულ წერტილში — უშგულში აიტანეს.

კობა კობახიძე

◎ საფეხბურთო მოზაიკა

იოჰან კრუიფის სახელობისა

ამსტერდამის ლეგენდარულ სტადიონ „ამსტერდამ არენას“, რომელიც ამავე ქალაქის საფეხბურთო კლუბის „აიაქსის“ საშინაო სტადიონია, სახელი შეეცვალა. როგორც ჰოლანდიური კლუბის ვებ-გვერდი ოფიციალურად იტყობინება, ამიერიდან სტადიონი გამოჩენილი ჰოლანდიელი ფეხბურთელის იოჰან კრუიფის სახელობის იქნება — „იოჰან კრუიფ არენა“.

იოჰან კრუიფი „აიაქსის“, ჰოლანდიისა და ზოგადად მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდად მიიჩნევა და იგი ერთი წლის წინათ 69 წლის ასაკში გარდაიცვალა.

რაც შეეხება „ამსტერდამ არენას“, იგი 1996 წლის ზაფხულში „აიაქსისა“ და „მილანის“ ამხანაგური შეხვედრით გაიხსნა.

ლეონარდუ ჟარდიმი: „იუვენტუსის“ დაცვა საუკეთესოა“

ფრანგული „მონაკოს“ მთავარი მწვრთნელი ლეონარდუ ჟარდიმი უეფას ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში მეტოქის, ტურინის „იუვენტუსის“ მიმართ საქებარ სიტყვებს არ იშურებს. პორტუგალიელის განცხადებით, „იუვეს“ საუკეთესო დაცვის ხაზი ჰყავს.

„ეს არის გუნდი, რომელსაც ყველა იცნობს — ძალიან ძლიერი, დიდი გამოცდილებით ასეთ მაღალ დონეზე. „იუვენტუსის“ დაცვის ხაზი ევროპაში საუკეთესოა და გარდა ამისა, მას აქვს უპირატესობა, რადგან იტალიის ჩემპიონატი უკვე თითქმის მოიგო“, — აღნიშნა ჟარდიმმა.

შეგახსენებთ, რომ „მონაკოსა“ და „იუვენტუსის“ მატჩები 3 და 9 მაისს გაიმართება.

სერხიო რამოსს ერთი თამაში აკმარეს

ესპანეთის ლა ლიგის სადისციპლინო კომიტეტმა მადრიდის „რეალის“ ცენტრალური მცველი სერხიო რამოსი ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა.

„სამეფო კლუბის“ კაპიტანმა წითელი ბარათი „ელ კლასიკოში“ ლიონელ მესისთან უხეში თამაშის გამო მიიღო. თავიდან იყო ვარაუდი, რომ ის უფრო მკაცრად დაისჯებოდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, მხოლოდ ერთმატჩიანი იძულებითი დასვენება გამოუწერეს.

გიორგი ზოთაძე

აკადემიკოსი რევაზ გაგუა



საქართველოს სამედიცინო საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა აკადემიკოსი **რევაზ გაგუა**, საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის კლინიკური განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექსპერტი ონკოლოგიაში, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

რევაზ გაგუამ 1969 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, მან 1975 წელს სსრკ ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ინსტიტუტში (მოსკოვი) წარმატებით დაიცვა დისერტაცია მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო 1991 წელს — ნ. ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში (მოსკოვი) მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1979 წლიდან დღემდე ის მუშაობდა ა. ღვამიჩავას სახელობის ონკოლოგიის ნაციონალურ ცენტრში ჯერ თორაკალური განყოფილების ხელმძღვანელად, შემდეგ დირექტორის მოადგილედ, გენერალურ დირექტორად და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. 2008 წლიდან დღემდე ის იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის ონკოლოგიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, 2012 წლიდან დღემდე კი ასევე იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ონკოლოგიის პროგრამის დირექტორი, ხოლო 2016 წლიდან დღემდე ის იყო საქართველოს კლინიკური მედიცინის ს/კ ინსტიტუტის ონკოლოგიური სამსახურის ხელმძღვანელი.

აკადემიკოსი რევაზ გაგუა სხვადასხვა წლებში იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი და ექსპერტი ონკოლოგიაში, რ. ვეფხვაძის სახელობის საქართველოს ონკოლოგთა საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სპეციალიზებული სადისერტაციო საბჭოს წევრი, ონკოლოგიის ნაციონალური ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის საქართველოს ასოციაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, კიბოს კონტროლის ეროვნული ასოციაციის საპატიო წევრი, „International Society of Surgery“ (აშშ) წევრი, მოსკოვის ონკოლოგთა საზოგადოების წევრი (რუსეთი), საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, კიბოსთან ბრძოლის საერთაშორისო გაერთიანება „Union for International Cancer Control UICC“ (ჟენევა) წევრი, საქართველოს პარლამენტთან არსებული ონკოლოგიის საკონსულტაციო საბჭოს ხელმძღვანელი, „The International College of Surgeons“ (აშშ) საზოგადოების წევრი, „International Congress of Thorax Surgery“ (საბერძნეთი) საორგანიზაციო კომიტეტის წევრი, „The European Society for Medical Oncology“ (ბრიუსელი) საზოგადოების წევრი, „Российская Академия Естественных Наук“ (მოსკოვი) აკადემიის წევრი, „The International Assiciation for the Study of Lung Cancer“ (IASLC) წევრი, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ეთიკისა და პროფესიული განვითარების ეროვნული საბჭოების წევრი, ევროპის თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის „European Society of Thoracic Surgeons“ (ESTS) წევრი, საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების თანადამფუძნებელი, ახალგაზრდა მედიკოსთა კავშირის მრჩეველთა საბჭოს საპატიო წევრი, საქართველოს თორაკალურ ქირურგთა ასოციაციის პრეზიდენტი, „American Society of Clinical Oncology“ (ASCO) წევრი, საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების პრეზიდენტი, ევროპის ონკოლოგთა თბილისის სკოლის ფილტვის კიბოს სექციის თანათავმჯდომარე, არაგადამდებ დაავადებათა პრევენციისა და კონტროლის საკოორდინაციო საბჭოს წევრი, ქ.თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის მრჩეველთა საბჭოს წევრი.

აკადემიკოსი რევაზ გაგუა იყო სამედიცინო პროფილის ჟურნალების „საქართველოს სამედიცინო ბიულეტენის“, „საქართველოს სამედიცინო ჟურნალის“, „საქართველოს ონკოლოგიის ჟურნალის“, „საქართველოს რესპირაციული ჟურნალის“, „Вопросы Онкологии“ (მოსკოვი), „Вопросы Саркомы Костей, Мягких Тканей и Опухоли Кожи“ (მოსკოვი), „კარდიოლოგია და შინაგანი მედიცინის“ „საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნეს“ ბიოლოგიის სერიის, „Клиническая Онкология“ (მოსკოვი), „Inovative Medicine and Biology“ (კანადა), „საქართველოს ქირურგიული მაცნეს“ და „Critical Care & Catastrophe Medicine“(საქართველო) სარედაქციო საბჭოს წევრი.

აკადემიკოს რევაზ გაგუას სხვადასხვა დროს მინიჭებული ჰქონდა, გ. მუხაძის სახელობის საქართველოს ქირურგიული საზოგადოების სამახსოვრო მედალი, ა. ღვამიჩავას სახელობის პრემიის ლაურეატობა, ა. ჩაჩავას სახელობის პრემია, ნ. ბლოხინის სახელობის ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „დიდი ოქროს მედალი“ (რუსეთი), მხიტარ გერაცის სახელობის ერევნის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ოქროს მედალი“ (სომხეთი), დსთ-ის ქვეყნების ონკოლოგთა პირველი ყრილობის დიდი სამახსოვრო მედალი (რუსეთი), პროფ. ლუარსაბ შარაშიძის სახელობის პრემია, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სერტიფიკატი „წლის საუკეთესო ექიმი“, საქართველოში ონკოლოგიური სამსახურის დაარსების 60 წლისთავის აღსანიშნავი ოქროს მედალი, საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტის საპატიო პროფესორის წოდება, აშშ-ის ბიოგრაფიული ინსტიტუტის მშვიდობის მსოფლიო მედალი და იმავე ინსტიტუტის „500 დიდი ლიდერის“ სერტიფიკატი, დაჯილდოებული იყო საქართველოს ღირსების მედლითა და ღირსების ორდენით, აგრეთვე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით, იყო საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული პრემიების ლაურეატი, აგრეთვე ქალაქ ფოთის საპატიო მოქალაქე.

აკადემიკოსი რევაზ გაგუა იყო უმაღლესი რანგის სპეციალისტი, მის მიერ უზადოდ შესრულებულმა ქირურგიულმა ოპერაციებმა სიცოცხლე შეუნარჩუნეს ათასობით უიმედო და განწირულ ავადმყოფს, ასევე მის მიერ არის აღზრდილი ქართველ ონკოლოგთა აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა ნაწილი წარმატებით მუშაობს აშშ-ის, ისრაელის, რუსეთის, უკრაინისა და სხვა ქვეყნების სამედიცინო სამსახურებში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 4 სადოქტორო და 10 საკანდიდატო დისერტაცია. ის ავტორია 300-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის, სახელმძღვანელოების, მონოგრაფიების, გამოგონებების, რაციონალური წინადადებებისა და მეთოდური რეკომენდაციების. სხვადასხვა დროს ის იყო საქართველოსა და საზღვარგარეთ მოწყობილი ონკოლოგიის სფეროს მიკუთვნებული მრავალი სამეცნიერო სიმპოზიუმის, კონფერენციისა და კონგრესის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი.

აკადემიკოს რევაზ გაგუას მიერ განვლილი გზა ქვეყნის წინაშე უანგარო და მუხლჩაუხრელი შრომის უპირობო დადასტურებაა. მისი სახელი, ეგზომ საამაყო და სამაგალითო, სამუდამოდ დარჩება საქართველოს სამედიცინო საზოგადოებაში.

საქართველოს მედიცინის მეცნიერებათა აკადემია.

საქართველოს კრიტიკული მედიცინის ინსტიტუტი, კატასტროფათა და კრიტიკულ მდგომარეობათა მედიცინის საქართველოს ასოციაცია და ჟურნალ „Critical Care & Catastrophe Medicine“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ინსტიტუტის საპატიო პროფესორი, ასოციაციის საკოორდინაციო საბჭოს წევრი და ჟურნალის სარედაქციო საბჭოს წევრი, აკადემიკოსი

რევაზ გაგუა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ფიზიოლოგიისა და მედიცინის განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული მედიცინის თვალსაჩინო წარმომადგენელი და საზოგადო მოღვაწე, რესპუბლიკის მთავარი ონკოლოგი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

რევაზ გაგუა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გამოჩენილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, სახელმწიფო პრემიების ლაურეატი, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ონკოლოგი, ინსტიტუტის თორაკალური ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელი, პროფესორი

რევაზ გაგუა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თინათინ და ფრიდონ თოდუები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ თვალსაჩინო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, სახელმწიფო პრემიების ლაურეატის, საქართველოს ონკოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტის, ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი ონკოლოგის, კლინიკური მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის თორაკალური ქირურგიის განყოფილების ხელმძღვანელის, პროფესორ

რევაზ გაგუას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატოლოგთა ასოციაცია, აკადემიკოს კ. ჩაჩავას მრავალპროფილიანი კლინიკა, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქართულმა სამედიცინო საზოგადოებამ კიდევ ერთი აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა — სრულიად მოულოდნელად ქართულ ონკოპულმონოლოგიას გამოეცალა საყრდენი დედაბოძი, გარდაიცვალა აკადემიკოსი

რეზო გაგუა

შეუძლებელია ამ ბრწყინვალე პიროვნების ღვაწლზე, სამეცნიერო მიღწევებზე, ბრწყინვალე ქირურგის ადამიანურ თვისებებზე ამომწურავი საუბარი. რაც მეტი დრო გავა, მით უფრო მძაფრად იგრძნობს საზოგადოება ამ დიდი დანაკლისის სიმძიმეს.

ვუსამძიმრებთ მის დიდ ოჯახს, ახლო ნათესავებს, მეგობრებსა და მრავალრიცხოვან პაციენტებს. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ჯემალ ცერცვაძე, ჯიმი ბროძელი, გეგუ მუშკუდიანი, გურამ კაკულია, გუჯა ბუბუტეიშვილი, საშა ჩივაძე, კუკუშა გვასალია, თენგიზ შუბლაძე, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, ანტონ თორდია, ზურა ქარაბაკი, ვიტალი გრძელიშვილი, თამაზ დარჩიაშვილი, მიშა ბერიძე, ამირან ბუაძე, გივი ფიროსმანიშვილი, სოსო მელქაძე თანაუგრძნობენ ბუსკა გეწაძეს დედის, ქალბატონი

დუმას

გარდაცვალების გამო.

მამა აფხაზეთში დააკავეს, შვილი - სამეგრელოში

ენგურის ხიდზე საპროტესტო აქციის დროს სამართალდამცველებმა ერთ პირი დააკავეს. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებულია არჩიკო როგავას შვილი დარეჯან როგავა. დაკავებას სამართალდამცველებსა და აქციის მონაწილეებს შორის ფიზიკური დაპირისპირება მოყვა.

არჩიკო და პაატა როგავების ოჯახის წევრები ენგურის ხიდთან საპროტესტო აქციას მართავენ. ისინი საქართველოს ხელისუფლებისგან ქმედით ნაბიჯებს ითხოვენ, რათა არჩიკო და პაატა როგავები ე.წ. დრანდის ციხიდან გათავისუფლდნენ.

როგავების ოჯახის წევრებმა გალის სამუშაო შეხვედრის შემდეგ გაიგეს, რომ ორივე მათგანს წინასწარი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

არჩიკო როგავას ე.წ. საზღვრის გადაკვეთას ედავებიან, ხოლო პაატა როგავას მეორე ბრალდებაც აქვს წაყენებული — წინააღმდეგობის გაწევა.

ენგურის ხიდთან დაკავებული დარეჯან როგავა ზუგდიდის სასამართლომ 250-ლარიანი ჯარიმის საფუძველზე გაათავისუფლა.

გილოცავთ!

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები: რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, ბონდო ქოგულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი დიდი პატივისცემითა და მეგობრული სიყვარულით ულოცავენ დაბადების დღეს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამფუძნებელს, საქართველოს საინჟინრო ინტელიგენციის გამოჩენილ წარმომადგენელს, საკავშირო გაერთიანება თბილისის ელექტროძრავების „აგრეგატის“ ყოფილ თავკაცს, ნაღდ თბილისელსა და უშესანიშნავეს პიროვნებას, ბატონ

გაიოზ გალდავაძეს.

შემზარავი მკვლელობა ტაილანდში

მამამ ქალიშვილი ფეისბუქის პირდაპირ ეთერში მოკლა, შემდეგ კი თავი მოიკლა. შემზარავი კადრები ფეისბუქის ადმინისტრაციამ ქსელიდან სასწრაფოდ აიღო. პოლიციის ინფორმაციით, 21 წლის ტაილანდელი მამაკაცი მცირეწლოვან შვილთან ერთად მიტოვებული სასტუმროს ნომერში იმყოფებოდა. ვიდეოტრანსლაციის დაწყებისთანავე, მისი ოჯახის წევრებმა მომხდარის შესახებ პოლიციას აცნობეს, თუმცა სამართალდამცავებმა დროული რეაგირება ვერ მოასწრეს. მკვლელობის მოტივი ამ დრომდე უცნობია.

მსოფლიოში ყველაზე პატარა მწეველი წონაში იკლებს

9 წლის ინდოელმა ბიჭუნამ ალდი რიზალიმ რამდენიმე კილოგრამი დაიკლო. ამის შესახებ დეილი მეილი იტყობინება. გავრცელებული ინფორმაციით, მსოფლიოში ყველაზე პატარა მწეველი თამბაქოზე დამოკიდებულებისგან საბოლოოდ გათავისუფლდა და წონაშიც იკლებს. ალდიმ თამბაქოს მოხმარება 2 წლის ასაკიდან დაიწყო და დღეში 40 ღერ სიგარეტს ეწეოდა. 5 წლის ასაკიდან მან მოწევას თავი დაანება, რის გამოც წონაში მოიმატა, თუმცა ბოლო პერიოდში მან ჭამას უკლო და სწავლას უმატა. შედეგმა არ დააყოვნა.

ამერიკაში მფრინავი ტაქსის შექმნას გეგმავენ

კომპანია Uber (აშშ) 2020 წლისთვის მფრინავი ავტომობილის შექმნას აპირებს. იმავდროულად, სატრანსპორტო გიგანტი მფრინავი ავტომობილების დაფრენა-ფრენისათვის საჭირო ინფასტრუქტურის შექმნასაც აპირებს.

წინასწარი ინფორმაციით, Uber-ის მფრინავი ტაქტის პრეზენტაცია დუბაის მსოფლიო გამოფენაზე შედგება, რომელიც 2020 წლისთვისაა დაგეგმილი.

შეგახსენებთ, რომ მფრინავი ავტომობილის პროტოტიპი უკვე წარმოადგინა Airbus-მა.

არიზონაში ტყის მასივი იწვის

ორი დღის წინათ გაჩენილმა ხანძარმა ათობით ჰექტარი ფართობი გაანადგურა. ცეცხლის გავრცელებას ხელს ძლიერი ქარიც უწყობს. ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებით, ცენტრალური ავტომაგისტრალი დროებით დაკეტვა. სტიქიური საფრთხის ზონა რამდენიმე ოჯახმაც დატოვა. ხანძრის გამომწვევი მიზეზი ამ დრომდე უცნობია.

კანის ფესტივალის ჟიურის შემადგენლობა ცნობილია

პრესტიჟული კინოფორუმის ჟიურის პედრო ალმადოვარი უხელმძღვანელებს. საკონკურსო ფილმებს შეაფასებენ ჰოლივუდის ცნობილი ვარსკვლავები უილ სმიტი და ჯესიკა ჩესტეინიც. კანის 70-ე ფესტივალი 17 მაისს დაიწყება. ოქროს პალმის რტოს მფლობელის ვინაობას კი 28 მაისს გამოაცხადებენ.

ამერიკაში ისტორიული მუხა მოჭრეს

ნიუ-ჯერსის შტატში 600 წლის მუხა მოჭრეს, რომლის ჩრდილში თავის დროზე, აშშ პირველი პრეზიდენტი ჯორჯ ვაშინგტონი ისვენებდა.

ხე ერთ-ერთი ეკლესიის ეზოში, ქალაქ ბერნანდში იდგა, თუმცა ერთი წლის წინათ იგი გახმა და ქალაქის მმართველობამ მისი მოჭრა გადაწყვიტა.

რამდენიმე საუკუნის ხე მრავალი ისტორიული ფაქტის მომსწრეა. ვარაუდობენ, რომ მოჭრილი ხისგან სუვენირებს დაამზადებენ.

მსოფლიოს ყველაზე კრიმინალური ქალაქები

ინტერნეტ პორტალმა „numbeo.com“ — სოციალურ ქსელებში გამოკითვა ჩაატარა და მოსახლეობას ყველაზე საშიში ქალაქების დასახელება სთხოვა.

აღსანიშნავია, რომ ამ არასახარბიელო ათეულს ორი ქვეყანა ლიდერობს: ბრაზილია და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

მეათე ადგილზეა ბევრისთვის საოცნებო ქალაქი რიო-დე-ჟანეირო, სადაც ნარკოდანაშაულობების საგანგაშო რაოდენობა აღირიცხა. მეცხრე ადგილზეა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ერთ-ერთი დედაქალაქი პრეტორია (სამი დედაქალაქი აქვს ამ ქვეყანას). მერვე ადგილს ისევ ბრაზილია იკავებს ქალაქი რესიფით, სადაც 100 000 მოსახლეზე 47,89 ძალადობრივი სიკვდილის ფაქტი მოდის, შემდეგ ისევ სამხრეთ აფრიკის უდიდესი ფინანსური და ეკონომიკური ცენტრი იოჰანესბურგი მოდის, რომლის რამდენიმე უბანი მსოფლიო კრიმინალის ნამდვილი ლიდერია.

ისევ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა — ქალაქი დურბანი, იგი ქვეყნის უდიდესი პორტია, აქ 100 000 მოსახლეზე 34,43 ძალადობრივი სიკვდილის ფაქტი აღირიცხება. მე-5 ადგილზეა სელანგორი — ქალაქი მალაიზიაში. აქ სიღარიბის მაჩვენებელი ყველაზე დაბალია ქვენის მასშტაბით.

მეოთხე ადგილზეა ბრაზილიის ქალაქი ფორტალეზა. სამეულს ხსნის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა ქალაქი პიტერმაერცბურგი. მეორე ადგილს ჰონდურასის ქალაქი სან-პედრო-რულა იკავებს.

„საპატიო“ პირველ ადგილზე კი ვენესუელის დედაქალაქი კარაკასი გავიდა, სადაც 100 000 მოსახლეზე 130,35 ძალადაბრივი სიკვდილის ფაქტი ხდება.

ჰოლივუდის ვარსკვლავი ვაჟიშვილს პრინცესასავით აცმევს?!

ულამაზესი შარლიზ ტერონი, მის ექვსი წლის ნაშვილებ ბიჭუნას ჯექსონს ისე აცმევს, როგორც დისნეის პრინცესას.

ვარდისფერ კაბასა და ბაფთიან ნაწნავებში გამოწყობილი ბიჭი აცხადებს, რომ დედამისი ყველანაირი გენდერული სტერეოტიპებისგან შორსაა. ვარსკვლავს ისე დაჰყავს ვაჟი, რომ ნამდვილი გოგო გეგონებათ.?

ტერონი ერთადერთი ჰოლივუდელი არაა, რომლის შვილიც პრინცესასავით გამოიყურება.

„იაგუარის“ უჩვეული იმიჯი

34 წლის მალაიზიელმა ბიზნესმენმა არაორდინარული ხერხი იხმარა თავისი ექსტრავაგანტულობის გამოსახატავად. მან საკუთარი ავტომობილი „jaguar S-Type“ პატარ-პატარა „მანქანებით“ გაალამაზა.

ახალგაზრდა კაცი 13 წლიდან აგროვებდა, მინიატიურულ სათამაშო მანქანის მოდელებს. საბოლოოდ მათმა რიცხვმა 500 ათასს მიაღწია. კოლექციის დიდი ნაწილი (4600) საკუთარი „იაგუარის“ გასაფორმებლად რამდენიმე კაცმა გამოიყენა და ზედ დააწება.

ბიზნესმენი საკუთარი გადაწყვეტილებით ძალიან კმაყოფილია...

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35
პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4444; ევრო - 2.6590;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1330;
100 რუბლი - 4.3614; თურქული ლირა - 0.6800;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4572;
1000 სომხური დრამი - 5.0431.

ამინდი 27 აპრილისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+1	დღე	+20
მთიანი რაიონები -	ღამე	-3,	დღე	+20
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8,	დღე	+27
მთიანი რაიონები -	ღამე	-1,	დღე	+22
თბილისი:	ღამე	+8,	დღე	+15

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge